825
1977
ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფლების ტრიბუნა

საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანო
სარედაქციო კოლეგია: გიორგი ნოზაძე, მიხეილ ქავთარაძე, გიორგი წერეთელი.

**TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA**
Journal périodique en langue géorgienne

N°I6 PARIS AVRIL 1977 წლის აპრილი. N°I6 პარიზი

ეს ნომერი ეძღვნება ვლადიმერ ყვანიას

მოვლენები არაჩვეულებრივი სისწრაფით ვითარდებიან საქართველოში. არსებულ უკმაყოფილებას ამ უკანასკნელ ხანში დაემატა, საბჭ. ინტერნაციონალიზმის ნიღაბით წარმოებული, დაჩქარებული რუსიფიკაცია. ქართველი ხალხის სამართლიან შეშფოთებას ხელისუფლება მუქარით და რეპრესიებით პასუხობს. ეს მდგომარეობა არის მიზეზი ვ. ყვანიას სამწუხარო, მაგრამ სრულიად გასაგები, აქტის. ვ. ყვანიას საქმიდან მართებული დასკვნის მაგივრად ხელისუფლება აორკეცებს რეპრესიებს, ჰქმნის პოლიციურ ტერორის ატმოსფეროს, განგებ უსევენ ქოფაკებს, რომლებიც მიტინგებზე პრესაში, რადიო-ტელეხედვაში თავიანთ ცოფს ანთხევენ გულმხურვალე მამულიშვილებზე. ამ კრიტიკულ მომენტში მთავარია = თავი ცივი იყოს გული კი მხურვალე, ქართველი კაცი შიშმა არ დაიმონოს, და გონებიდან არ გამოუშვას "კეთილმან ხმელია ბოროტსა არსება მისი გრძელია".

უცხოეთში არსებულ პოლიტიკურ ორგანიზაციების და გამომცემლობების
განცხადება

1972 წლის ბოლოს კრემლმა თვითნებურად საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელობა გადააყენა და მის ადგილს დანიშნა ახალი. ეს ახალი ხელმძღვანელობა დაუყოვნებლივ შეუდგა კომპარტიის და სახელმწიფო აპარატის მასიურ " წმენდას ", რის შედეგადაც, ამ პატარა ქვეყანაში, თანამდებობიდან მოხსნილთა და პასუხისგებაში მიცემულთა რაოდენობამ, გასული წლისთვის, 30 ათას კაცამდე მიაღწია, ჩვენს ხელში არსებულ საბუთების მიხედვით პატიმრებზე საგამომძიებლო ორგანოები წამების განსაკუთრებით შემაძრწუნებელ მეთოდებს იყენებდნენ, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა სიკვდილის შემთხვევებს.
ახეთი გამოძიებების შედეგად შესაძლებელია ნებისმიერი დანაშაულის აღიარება, რაც საშუალებას აძლევს ხელისუფლებას =
- საპასუხისმგებლო თანამდებობებიდან მოიშოროს მისთვის არა საიმედო პირები, მათ დააბრალოს სახალხო მეურნეობის ჩამორჩენილობა და ეკონომიური წარუმატებლობა, რომ დროებით ხალხში შექმნას ილუზიები უკეთეს მომავალზე.
- რაც მთავარია, ამ წმენდების, რეპრესიების და საყოველთაო შიშის პირობებში აწარმოებს დაჩქარებულ რუსიფიკაციის პოლიტიკას.
ამ მდგომარეობას არ შეიძლებოდა არ აღეშფოთებინა მცირერიცხოვანი მაგრამ უძველესი ქართველი ერის შვილები. ამ შეშფოთებამ თავისი გამოხმაურება ჰპოვა გამოჩენილ მწერლების ნოდარ წულეისკირის და რევაზ ჯაფარიძის საჯარო გამოსვლებში, რომლებმაც, საქ. მწერლების ყრილობებზე, უტყუარი მაგალითებით, ამხილეს ხელისუფლების მიერ წარმოებული გარუსების პოლიტიკა და მოითხოვეს ქართული ენის შენარჩუნების და დაცვის უფლება. ხელისუფლებამ დაუმალა ხალხს ეს გამოსვლები, ხოლო ავტორები მკაცრად დატუქსა.
ასევე, ადამიანის უფლებათა დაცვის საქართველოს კომიტეტმა, რომელსაც გამოჩენილი ფილოლოგი, მწერალი და პოეტი ზვიად გამსახურდია მეთაურობს, არაერთხელ ამხილა, თვითგამოცემის გზით, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების კრიმინალური საქმიანობა, მათ მიერ ადამიანის უფლებების აღმაშფოთებელი დარღვევა, მაგრამ ამაოდ, ხელისუფლება დამნაშავეების მაგივრად, მათ მამხილებლებს დევნის. ბევრი მათგანი დააპატიმრეს და დასაჯეს ყალბი ბრალდებებით, თვით ზვიად გამსახურდია განუწყვეტლივ პოლიციის დევნა მუქარაშია. ერთხელ გაზით მოწამლეს, ოჯახის წევრებთან ერთად, თავის სახლში. მეორედ ავტომანქანის მარცხი მოუწყვეს. ორივეჯერ სასწაულებრივად გადარჩა. ამრიგად, საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლება, უეჭველად კრემლის ბრძანებით, ყოვლად შეუძლებელს ხდის, როგორც ადამიანის, ისე ერის ფუნდამენტურ უფლებების დემოკრატიული გზით დაცვის შესაძლებლობას.

1976-75 წლებში, თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში, ადგილი ჰქონდა ბომბების აფეთქების და განზრახ გაჩენილ ხანძრების შემთხვევებს. ამ დროს ხელისუფლება ოფიციალურად მალავდა ამ ამბებს, ადამიანის მსხვერპლიც არ უხსენებიათ ხოლო მისმა აგენტებმა გაავრცელეს ყალბი ხმები თითქოს ამ ბოროტმოქმედებების ჩამდენები იყვნენ ახალი პოლიტიკით შევიწროებული სპეკულანტები და შავი ბირჟის საქმოსნები. წელს, 3 თებერვალს საქართველოს პრესაში გამოქვეყნდა საქ. სააგენტოს ცნობა, რომლის მიხედვით სახელმწიფო უშიშროების ორგანოების წყალობით ბომბების აფეთქების, რომელმაც ერთი ადამიანი იმსხვერპლა, ავტორი აღმოუჩენიათ. ეს ყოფილა ვლადიმერ გრიგოლის ძე ჟვანია. 42 წლის. გაურკვეველი პროფესიის. მისი საქმე განუხილავს საქ. უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას, "ღია" სხდომაზე და ბრალდებულისთვის სიკვდილი მიუსჯია.
ამ სულ მოკლე განცხადებაში ( და სხვა არაფერი ოფიციალური ცნობა ასეთ მნიშვნელოვან საქმეზე არ არსებობს) არაფერი არ არის ნათქვამი = სად და როდის გაიმართა ეს " ღია " სასამართლო, სასამართლოს შემადგენლობაზე, ვინ იყო ბრალდებულის დამცველი და როგორ ააგო მან ვ. ჟვანიას დაცვა. დაბოლოს, არაფერი არ არის ნათქვამი თუ რა მოტივით ააფეთქა ვლადიმერ ჟვანიამ ბომბები. თუ ვლადიმერ ჟვანიამ ის უმიზნოდ და უმიზეზოდ ჩაიდინა, მაშინ სასამართლოს მის გონებრივ მდგომარეობაზე უნდა ეზრუნა. ვინაიდან სასამართლომ ასე მკაცრად დასაჯა, მას ბრალდებული ნორმალურ- სალ გონებისად უცვნია და მაშინ შეუძლებელია ვლადიმერ ჟვანიას მოქმედებას რაიმე მოტივი არ ედვას სარჩულად. მაშ რას მალავს " საქინფორმი?" ერთადერთი დანაშაული, რომელსაც საბჭ. ხელისუფლება ხალხს უმალავს არის პოლიტიკური. მართლაც არაოფიციალურ ცნობის მიხედვით, ვლადიმერ ჟვანიას პროცესზე განუცხადებია = " ეს მე ჩავიდინე რათა პროტესტი განმეცხადებინა საქართველოში წარმოებულ რუსიფიკაციის პოლიტიკის წინააღმდეგ ". თუ ეს ვერსია ნამდვილია, მაშინაც, ცივილიზებულ საზოგადოებისათვის, ვლადიმერ ჟვანიას სიკვდილით დასჯა მიუღებელია. შეუცდომლად შეიძლება ითქვას, რომ ვლადიმერ ჟვანია მსხვერპლია ან პოლიტიკურ პოლიციის შეთქმულების ან რეჟიმის ტირანულ სისტემის. ის არ წარმოადგენს საზოგადოებისათვის საშიშ ელემენტს, რომლის მოკვეთაც აუცილებელი იყოს. თბილისის სასამართლოს განაჩენი არ წარმოადგენს მართლმსაჯულებას, არამედ პოლიტიკურ მკვლელობას.

ჩვენ გადაჭრით წინააღმდეგი ვართ ტერორის გამოყენებისა, როგორც პოლიტიკის იარაღის და ეს, როგორც ერთეულების, ისე ჯგუფების და სახელმწიფო ორგანოებისგან.

ჩვენ მოვითხოვთ, თავდაპირველად, ვლადიმერ ჟვანიას სასჯელი არ იქნეს სისრულეში მოყვანილი, ხოლო შემდეგ, ნება დაერთოს საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს = ამნესტი ინტერნეიშენალს და საერთაშორისო იურისტთა საზოგადოებას, ადგილზე შეამოწმონ ვლადიმერ ჟვანიას საქმე, როგორც საერთაშორისო ისე საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით.

ჩვენ მოვითხოვთ კრემლის ხელისუფლებამ შეწყვიტოს საქართველოში უმიზეზო რეპრესიები, ასიმილაციის და რუსიფიკაციის პოლიტიკა, ნება მიეცეს ქართველ ხალხს თვით განაგოს თავისი ბედი, თანახმად ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპების რომელსაც საბჭოთა მთავრობამაც, სადღესასწაულო ვითარებაში, ხელი მოაწერა 1948 წელს.

თხოვნით მივმართავთ მსოფლიო საზოგადოებას, ყველას, ვისთვისაც ადამიანის სიცოცხლე, ადამიანის და ერის თავისუფლება და თანასწორობა ძვირფასია, მხარი დაგვიჭიროს ამ ჩვენს სამართლიან მოთხოვნებში.

ეროვ. დემოკრატიული პარტიის სახელით, ალექსი აბაშიძე.

სოციალ.- ფედერალისტთა პარტიის სახელით, ნიკოლოზ ერუმაძე.

თავ. ქართველთა კავშირის სახელით, ოთარ ზურაბიშვილი.

ჟურნალ " ივერიას " სახელით მიხეილ ქავთარაძე.

ჟურნალ " თავისუფლების ტრიბუნას " სახელით = გიორგი ნიზაძე.

გიორგი წერეთელი

ჟურნალ " მერანის " სახელით = გია სარჯველაძე

გივი ბეგიაშვილი

პარიზი. მარტი. 1977 წელი.

## ს ა მ ი უ ს ა მ ა რ თ ლ ო ბ ა

ამ ახალი წლის დასაწყისში საქ. მოსახლეობას საბჭ. ოფიციალურმა სააგენტომ აცნობა სამი კრიმინალური პროცესის ამბავი. ეს ამბები, გაზეთებში გამოქვეყნებულ ქრონოლოგიის მიხედვით, შემდეგია =

1. 11 იანვრის გაზ. "კომუნისტის" ცნობით გაუსამართლებიათ 23 შეიარაღებულ პირისაგან შემდგარი ბანდა, რომლის 2 მეთაურს - 26 წლის ალექსანდრე ანდღულაძეს და ნოდარ შეპილოვს-სასამართლომ სიკვდილით დასჯა გამოუტანა.
2. 3 თებერვალს "კომუნისტმა" და "ზარია ვოსტოკამ" ლაკონიურად გვამცნო ვლადიმერ ყვანიას ათვის სიკვდილის მისჯის ამბავი.
3. 16 თებერვალს იგივე გაზეთებმა დაბეჭდეს " საქინფორმის" ცნობა და მ. მიქაძეს "ფიქრები" თბილისის ოპერის და ბალეტის თეატრის დაწვის ავტორთა გასამართლების შესახებ.

შევეცადოთ ობიექტურად განვიხილოთ სათითაოდ ეს საქმეები, იმ მჭლე ცნობების მიხედვით, რომლებსაც საბჭოთა პრესა იძლევა.

### ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე – შ ე პ ი ლ ო ვ ი ს

საქმეზე ჩვენს ხელთ არის მხოლოდ მ. როზაქიძეს წერილი. დასავლეთის პრესაში იყო ცნობა თითქოს ბრალდებულები ნარკომანები იყვნენ, ბოროტმოქმედ ებაც ამ ნარკოტიკების ზეგავლენით ჩაიდინეს, მაგრამ ამაზე არაფერი არ არის ნათქვამი მ. როზაქიძეს სტატიაში. თუ დასავლეთის პრესის ცნობა სიმართლეს წარმოადგენს, მაშინ თბილისის სასამართლოს განაჩენი წარმოუდგენელია - ნარკოტიკების ზეგავლენით ჩადენილი ბოროტმოქმედება, რაც არ უნდა ამაზრზენი იყოს, ჩადენილია გონებრივად უპასუხისმგებლო პირისაგან; საზოგადოებამ, სასამართლომ უნდა იზრუნოს მის განკურნებაზე და არა მის სიკვდილით დასჯაზე. თუ მ. როზაქიძეს დავუჯერებთ, 23 კაცისაგან შემდგარი ბანდიტების ჯგუფი, რომელსაც რეციდივისტი ა. ანდღულაძე მეთაურობდა, დიდი ხანია რაც თავის ბანდიტურ საქმიანობას ეწეოდა. თვით ა. ანდღულაძე ორჯერ უკვე იყო გასამართლებული და სასჯელმოსჯილი. ბანდიტების ჯგუფი აღმოაჩინეს და გაასამართლეს თბილისის შინაგან სამმართველოს სოც. საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების ოპერატიული ჯგუფის უფროსი, მილიციის უფროსი ლეიტენანტის, ნოდარ თოფურიას მკვლელობის გამო. ისევ როზაქიძის მიხედვით, ანდღულაძის ბანდას გადაუწყვეტია ერთ ბანკზე შეიარაღებული თავდასხმა და იქიდან ფულის გატაცება. ამისთვის მათ ესაჭიროებოდათ კერძო ავტომანქანა. მანქანის მოპოვების მიზნით, სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა ანდღულაძემ და შეპილოვმა გააჩერეს ერთერთი გამვლელი ავტომანქანა, შიგ ჩაუჯდნენ, მძღოლი მოკლეს და ავტომანქანა გაიტაცეს. თუ მ. როზაქიძეს დავუჯერებთ, ბანდიტებმა ასეთი დანაშაულის ჩადენის შემდეგ გადაიფიქრეს და თავიანთ ძირითად განზრახვაზე- შემნახველი სალაროდან ფულის გატაცებაზე—უეცრად ხელი აიღეს, ხოლო მათი მსხვერპლი კი აღმოჩნდა პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ნოდარ თოფურია. გასაგებია, თავიანთი კოლეგის მკვლელები პოლიციამ სწრაფად აღმოაჩინა. არც ის არის გასაკვირი, რომ სასამართლომ პოლიციელის, და ისიც უფროსი ლეიტენანტის, მკვლელები ასე სასტიკად დასაჯა, თუ მ. როზაქიძის მოთხრობას ბოლომდე გულდასმით წავიკითხავთ, სასამართლოს მიერ ჩადენილ დიდ უსამართლობას ადვილად აღმოვაჩენთ. ოფიციალურ ბრალდების მიხედვით ბოროტმოქმედებმა ნოდარ თოფურია მოჰკლეს, რათა მისი მანქანით ფული გაეტაცათ შემნახველ სალაროდან. ნუთუ დამცველი ვექილი არ იყო პროცესზე, რომელსაც ეს ბრალდება სულ ადვილად შეეძლო გაებათილებია, რადგანაც ბოროტგამზრახველებს, ნ. თოფურიას მოკვლის და მისი ავტომანქანის ხელში ჩაგდების შემდეგ ამ მანქანით არც უცდიათ თავდასხმის მოხდენა. ნუთუ დასაჯერებელია, რომ ისეთი გამოცდილი ბანდიტები, როგორც ანდღულაძე და შეპილოვია, ასეთ უაზრო მკვლელობას (კრიმ გრატუი) ჩაიდენდნენ? რა თქმა უნდა არა! ბოროტმოქმედების ნამდვილი მიზეზი ბრალდებულმა ა. ანდღულაძემ სასამართლოს წინაშე აღიარა= " მე და ჩემმა ამხანაგებმა ნ. თოფურია მოვკალით მასზე განაწყენებულ ზოგიერთ მილიციის მუშაკის დავალებით და ხელშეწყობით." სასამართლოს, უეჭველია მათი პატრონების გავლენით ბრალდებულის ეს განცხადება ცილისწამებად ჩაუთვლია და მით ბოროტების სათავის მიგნების გზა მოუსპია. შედეგი= ბოროტმოქმედების გამჩაღებლები თავისუფლად დაპარპაშებენ, ხოლო ბაცაცი ამსრულებლები უსასტიკეს ად დაისაჯენ. ეტყობა, ბევრ დამსწრეს სხვაგვარად განუსჯია, და სწორედ მათ მისამართით წერს მ. როზაქიძე ="...დამსწრენი ბოლომდე არ უსმენენ სხდომებს, სხდომებიდან გამოაქვთ ყურმოკრული ამბები, ხოლო ზოგიერთი იზოვატელი სინამდვილეს ასაღებს ცილისწამებას და სიცრუეს." ჩვენ ვფიქრობთ, რომ როზაქიძის " იზოვატელი" უკვე სჯის, ვიდრე თბილისის სისხლის სამართლის კოლეგია, რომელიც ბოროტმოქმედების ორგანიზატორებს ხელს აფარებს, ხოლო მათ ხელქვეით-ამსრულებლებს უმოწყალოდ სჯის.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა LIBRARY
IB Euro-Caucasian University

თხოვნით მივმართავთ მსოფლიო საზოგადოებას, ყველას, ვისთვი-საც ადამიანის სიცოცხლე, ადამიანის და ერის თავისუფლება და თანასწორობა ძვირფასია, მხარი დაგვიჭირონ ამ ჩვენს სამართლიან მოთხოვნებში.

ეროვ. დემოკრატიული პარტიის სახელით, ალექსი აბა-შიძე.

სოციალ.- ფედერალისტთა პარტიის სახელით, ნიკოლოზ ურუშაძე.

თავ. ქართველთა კავშირის სახელით, ოთარ ბურაზიშვილი.

ჟურნალ " ივერიას " სახელით მიხეილ ქავთარაძე.

ჟურნალ " თავისუფლების ტრიბუნას " სახელით = გიორგი ნოზაძე.

გიორგი წერეთელი

ჟურნალ " მერანის " სახელით = გია სარჯველაძე

გივი ბეგიაშვილი

პარიზი. მარტი. 1977 წელი.

107

## ს ა მ ი  უ ს ა მ ა რ თ ლ ო ბ ა

ამ ახალი წლის დასაწყისში საქ. მოსახლეობას საბჭ. ოფიციალურ-მა საგენტომ აცნობა სამი კრიმინალური პროცესის ამბავი. ეს ამბები, გაზეთებში გამოქვეყნებულ ქრონოლოგიის მიხედვით, შემდე-გია =

1. 11 იანვრის გაზ. "კომუნისტის" ცნობით გაუსამართლებიათ 23 შეიარაღებულ პირისაგან შემდგარი ბანდა, რომლის 2 მეთა-ურს - 26 წლის ალექსანდრე ანდღულაძეს და ნოდარ შეპილოვს--სასამართლომ სიკვდილით დასჯა გამოუტანა.
2. 3 თებერვალს "კომუნისტმა" და "ზარია ვოსტოკამ" ლაკონი-ურად გვამცნო ვლადიმერ ჟვანიას ათვის სიკვდილის მისჯის ამბავი.
3. 16 თებერვალს იგივე გაზეთებმა დაბეჭდეს " საქინფორმის" ცნობა და მ. მიქაძეს "ფიქრები" თბილისის ოპერის და ბა-ლეტის თეატრის დაწვის ავტორთა გასამართლების შესახებ.

შევეცადოთ ობიექტურად განვიხილოთ სათითაოდ ეს საქმეები, იმ მჭლე ცნობების მიხედვით, რომლებსაც საბჭოთა პრესა იძლევა.

### ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე — შ ე პ ი ლ ო ვ ი ს

საქმეზე ჩვენს ხელთ არის მხოლოდ მ. რობაქიძეს წერილი. და-სავლეთის პრესაში იყო ცნობა თითქოს ბრალდებულები ნარკომანები იყვნენ, ბოროტმოქმედებაც ამ ნარკოტიკების ზეგავლენით ჩაიდინეს, მაგრამ ამაზე არაფერი არ არის ნათქვამი მ. რობაქიძეს სტატი-აში. თუ დასავლეთის პრესის ცნობა სიმართლეს წარმოადგენს, მა-შინ თბილისის სასამართლოს განაჩენი წარმოუდგენელია - ნარკოტიკე-ბის ზეგავლენით ჩადენილი ბოროტმოქმედება, რაც ა/უნდა ამაზრზე-ნი იყოს, ჩადენილია გონებრივად უპასუხისმგებლო პირისაგან; საზოგადოებამ, სასამართლომ უნდა იზრუნოს მის განკურნებაზე და არა მის სიკ-ვდილით დასჯაზე. თუ მ. რობაქიძეს დავუჯერებთ, 23 კაცისაგან შემდგარი ბანდიტების ჯგუფი, რომელსაც რეციდივისტი ა.ანდღულაძე მეთაურობდა, დიდი ხანია რაც თავის ბანდიტურ საქმიანობას ეწე-ოდა. თვით ა. ანდღულაძე ორჯერ უკვე იყო გასამართლებული და სასჯელმოხდილი. ბანდიტების ჯგუფი აღმოაჩინეს და გაასამართლეს თბილისის შინაგან სამმართველოს სოც. საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების ოპერატიული ჯგუფის უფროსი, მილიციის უფროსი ლეიტენანტის, ნოდარ თოფურიას მკვლელობის გამო. ისევ რობაქიძის მიხედვით, ანდღულაძის ბანდას გადაუწყვეტია ერთ ბანკზე შეიარაღებული თავდასხმა და იქიდან ფულის გატაცება. ამისთვის მათ ესაჭიროებოდათ კერძო ავტომანქა-ნა. მანქანის მოპოვების მიზნით, სამხედრო ფორმაში გამოწყობილ-მა ანდღულაძემ და შეპილოვმა გააჩერეს ერთერთი გამვლელი ავტო-მანქანა, შიგ ჩაუჯდნენ, მძღოლი მოკლეს და ავტომანქანა გაიტა-ცეს. თუ მ. რობაქიძეს დავუჯერებთ, ბანდიტებმა ახლა დანაშაუ-ლის ჩადენის შემდეგ გადაიფიქრეს და თავიანთ ძირითად განზრახ-ვაზე- შემნახველი სალაროდან ფულის გატაცებაზე—უეცრად ხელი აი-ღეს, ხოლო მათი მსხვერპლი კი აღმოჩნდა პოლიციის უფროსი ლეი-ტენანტი ნოდარ თოფურია. გასაგებია, თავიანთ კოლეგის მკვლელე-ბი პოლიციამ სწრაფად აღმოაჩინა. არც ის არის გასაკვირი, რომ სასამართლომ პოლიციელის, და ისიც უფროსი ლეიტენანტის, მკვლელე-ები ასე სამაგალითოდ დასაჯა, თუ მ. რობაქიძის მოთხრობას ბოლომდე გულდასმით წავიკითხავთ, სასამართლოს მიერ ჩადენილ დიდ უსამართლობას ადვილად აღმოვაჩენთ. ოფიციალურ ბრალდების მიხ-ედვით ბოროტმოქმედებმა ნოდარ თოფურია მოჰკლეს, რათა მი-სი მანქანით ფული გაეტაცათ შემნახველი სალაროდან. ნუთუ დამც-ველი ვექილი არ იყო პროცესზე, რომელსაც ეს ბრალდება სულ ად-ვილად შეეძლო გაებათილებია, რადგანაც ბოროტგამზ-რახველებს, ნ. თოფურიას მოკვლის და მისი ავტომანქანის ხელში ჩაგდების შემდეგ ა/მანქანით არც უცდიათ თავდასხმის/მოხდენა. ნუთუ დ ასაჯერებელია, რომ ისეთი გამოცდილი ბანდიტები, როგორც ანდღულაძე და შეპილოვია, ასეთ უფასო მკვლელობას (კრიმ გრატუი) ჩაიდენდნენ? რა თქმა უნდა არა! ბოროტმოქმედების ნამდვილი მიზ-ეზი ბრალდებულმა ა. ანდღულაძემ სასამართლოს წინაშე აღიარა= " მე/და ჩემმა ამხანაგებმა ნ. თოფურია მოვკალით მასზე განაწ-ყენებულ ზოგიერთ მილიციის მუშაკის დავალებით და ხელშეწყობით." სასამართლოს, უეჭველია მათი პატრონების გავლენით ბრალდებულის ეს განცხადება ცილისწამებად ჩაუთვლია და მით ბოროტების სათავის მიგნების გზა მოუსპია. შედეგი= ბოროტმოქმედების გამჩაღებლები თავისუფლად დაპარპაშებენ, ხოლო ბაცაცა ამსრულებლები უსასტიკეს-ად დაისაჯნენ. ეტყობა, ბევრ დამსწრეს სხვაგვარად განუსჯია, და სწორედ მათ მისამართით წერს მ. რობაქიძე ="...დამსწრენი ბოლომდე არ უსმენენ სხდომებს, სხდომებიდან გამოაქვთ ყურმოკ-რული ამბები, ხოლო ზოგიერთი ობივატელი სინამდვილეს ასალებს ცილისწამებას და სიცრუეს." ჩვენ ვფიქრობთ, რომ რობაქიძის " ობივატელი" უკეთ სჯის, ვიდრე თბილისის სისხლის სამართლის კოლეგია, რომელიც ბოროტმოქმედების ორგანიზატორებს ხელს აფ-არებს, ხოლო მათ ხელქვეით-ამსრულებლებს უმოწყალოდ სჯის.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა LIBRARY IB Euro-Caucasian University

2968

თები, მაგრამ არა ნიჭიერები, რადგანაც სამარცხვინოდ სახელგანთქმულ მასწავლებლების, მსოფლიოში გახმაურებულ, პროცესებში გამორიცხული იყო ისეთი ინციდენტი, როგორსაც ადგილი ჰქონდა ოპერის "დამწველთა" პროცესზე = შვიდივე განსასჯელმა ერთხმად განაცხადა, რომ საგამომძიებლო ორგანოებმა მათზე აწარმოეს სასტიკი მორალური და ფიზიკური წამება, რითაც ისინი აიძულეს ხელი მოეწერათ, წინასწარ შედგენილ, ყალბ ჩვენებებზე. განცხადების დასამოწმებლად განსასჯელებმა სხეულები გაიშიშვლეს, რომლებზედაც კიდევ გარკვევით ჩანდენ რეზინის ხელკეტების კვალები. პროცესი რამოდენიმე დღით გადაიდო, ალბათ საგამომძიებლო ორგანოებს, რომ საშუალება მიცემოდათ ბრალდებულების ხელახალ დასამუშავებლად. განახლების შემდეგ, სასამართლომ ცილისწამებად ჩათვალა მომჩივანთა საბუთიანი საჩივრები და სახ. პროკურორის ბრალდება უცვლელად დაადასტურა. სამაგიეროდ, საბჭ. სასამართლოსათვის უჩვეულო შემწყალებლობა გამოიჩინა ბრალდებულთა დასჯის საქმეში. მაშინ, როცა საკოლმეურნეო ბოსლის და მისთანათა დაწვისათვის ხშირად 10 და მეტ წლის მკაცრ პატიმრობას უსჯიან, თბილისის ოპერის "დამწველებმა" მხოლოდ 5-დან 8 წლამდე პატიმრობა, თანაც ამნისტიაც გაავრცელეს და უნდა ვიგულისხმოთ, რომ, თუ ჯერ არა, სულ მალე "ყვითელ ეშმაკს სულმიყიდულები" რუსთაველის გამზირზე ისეირნებენ, და, რატომაც არა, ოპერის თეატრში თავიანთ თანამდებობებზედაც იქნებ აღადგინონ. სინდისის ქენჯნის შედეგი? "ალიარების" გასამრჯელო? თუ სხვა პოლიტიკური საიდუმლოება?(რომელიც შესაძლებელია ახლო მომავალში აიხსნას) ყოველ შემთხვევაში მას საერთო არაფერი არ აქვს მართლმსაჯულებასთან. ის წარმოადგენს დღევანდელ საქართველოში ინაურ-შევარდნაძის და მათი "ჩრდილოეთიდან მზის ამომყვანის", ლეონიდ ილიჩის სამართალს.

მარტი. 1977 წელი.

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს  უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი  ა მ ბ ე ბ ი

საქართველოს და რუსეთის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტების განცხადებები საბჭ. კავშ. უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმისათვის.

შაბათს, 2 აპრილს, პრესის საშუალებით შევიტყვეთ, რომ 31 მარტს, მოსკოვში დასავლეთის კორესპონდენტებს გააცნეს იმ წერილების შესახებ, რომლებიც საქართველოს და რუსეთის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტებმა გაუგზავნეს სსრკ-ს უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს. წერილებში ნათქვამია, რომ ვლადიმერ ყვანიამ ბომბები ააფეთქა საქ. წარმოებული რუსიფიკაციის პროტესტის ნიშნად, მუხლი, რომლითაც ის გაასამართლეს და დასაჯეს, არ შეიძლება მას მიუდგეს. მიუხედავად იმისა, რომ წერილის ავტორები წინააღმდეგი არიან ტერორის როგორც პოლიტიკის საშუალების, ვლადიმერ ყვანიას სიკვდილით დასჯა მიუღებლად მიაჩნიათ და ითხოვენ მის შეწყალებას.

აქვე გვინდა შევნიშნოთ = ის ფაქტი, რომ რუსმა დემოკრატებმა თავიანთი სოლიდარობა გამოამჟღავნეს ქართველებთან ამ ტრაგიკულ საქმეში, მადლიერების გრძნობებით ავსებს ჩვენს გულებს. ასეთ განწყობილებას დიალაც შეიძლება ეწოდოს ძმობა, და არა საბჭოთა რეჟიმის ცბიერ "ძმობას", რომელშიც იგულისხმება მცირერიცხოვან ერების გადაჯიშება და გაქრობა .

### ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და ვიქტორ რცხილაძის დაპატიმრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ თხოვნების გაგზავნისა და პრეს-კონფერენციის შემდეგ, საბჭოთა მთავრობის პასუხმა არ დააგვიანა, საქართველოში გაჩაღდა დაუზოგავი კამპანია ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. ქვეყნის ყველა დიდ ქარხნებში, საწარმოებში, უმაღლეს სასწავლებლებში და განსაკუთრებით თბილისის უნივერსიტეტში, მოწვეულ იქმნა პარტაქტივის კრებები, რომლებზედაც გამოიტანეს ზ. გამსახურდიას და მისი მეგობრების საბრალმდებლო რეზოლუციები. პრესიდან პირველი განგაში ატეხა "ახალგაზრდა კომუნისტმა". მის ფურცლებზე "ახკომელების" სახელს ამოფარებულებმა ქარცეცხლში გაატარეს ზ. გამსახურდიას და მისი მეგობრების მოქმედება და მწერლობა. მათ არ დაივიწყებიათ ხაზი გაესვათ ნინო და კალისტრატე სალიების მამულიშვილობაზე, რაგანაც ზ. გამსახურდიას და მის მეგობრებს გაუბედიათ, თავიანთ კრებულ "მოამბეში"(გამოდის თვითგამოცემის გზით), შალვა მაღლაკელიძის ნეკროლოგთან დაკავშირებით, საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა, არც იმაზე, რომ ="უცხოელ ვიგინდარების საამებლად თავიანთ რესპუბლიკას თავზე ლაფს ასხამენ", ხოლო "საქართველოზე ამაღლებულ უცხოელს დავით ლანგს საქართველოს აძლევენ." ასეთი და ამის მსგავსი საბუთების მოტანის შემდეგ, რომლებშიაც უხვად არიან გაბნეულ გამოთქმები "ფარისეველი", "იდეოლოგიური მტერი, რომელსაც სხვა იდეოლოგიაც არ გააჩნია", " ცილისმწამებელი", "პროვოკატორი" და სხვა, "ახკომელები" მათთვის უფრო უკეთ ცნობილ და იოლ გზას მიმართავენ - მუქარას. ანალოგია გაჰყავთ მათსა და ნუგზარ შარიას შორის, რომელსაც თურმე "სამშობლოსთვის, ოჯახისთვის, ცოლის და შვილისთვის და და და ძმისთვის უღალატია, ისინი ფულზე გაუყიდია, იმპერიალისტური დაზვერის აგენტობა და პროპაგანდისტობა უკისრია". ზვიად გამსახურდიას და მისი მეგობრების განსხვავება ნ. შარიასთან თურმე მხოლოდ ის ყოფილა, რომ ="თქვენ ჯერ კიდევ ჩვენს მიწაწყალზე ხართ და ჩვენი ჰაერით სუნთქავთ, ის(ნ. შარია) კი კორდონის იქითაა."

1 აპრილს "კომუნისტმა", "ზარია ვოსტოკამ", "ლიტერატურულმა საქართველომ" და სხვა პერიოდულმა ბეჭვდითმა ორგანოებმა ერთხმად ჯვაროსნული ომი გამოუცხადეს ზ. გამსახურდიას და მის მეგობრებს. ბრძოლის ველზე გამოიყვანეს ზვიად გამსახურდიას მიერ ბოროტებაში მხილებული და მით განაწყენებული მძიმე ქვემეხოსნები: პატრიარქი დავით მე-5, მიტროპოლიტი გაიოზი(კერატიშვილი), ეპისკოპოსი გრეგორი(მაყუგა), უნივერსიტეტის პროფესორი ვენორი ქვაჩახია და სხვა უფრო მცირე რიგითი მხედრიონი... ასეთ ელექტრონით დამუხტულ ვითარებაში , რომლის ანალოგიაც მხოლოდ დაწყევლილ ეჟოვშჩინის დროს შეიძლება მოინახოს, სასწრაფოდ შეიკრიბა საქ. საბჭ. მწერლების გამგეობის პრეზიდიუმი. განიხილა "ზ. კ. გამსახურდიას საბჭ. მწერლისათვის შეუფერებელი საქმიანობის შესახებ."..."ერთხმად გარიცხა ის სსრკ-ს მწერალთა კავშირის რიგებიდან." ამის შემდეგ ძნელი არ იყო ზვიად გამსახურდიას ბედის გათვალისწინება. 8 აპრილს, მოსკოვიდან ტელექსით გადმოცეს ცნობა საქ. ადამიანის უფლ. დაცვის კომიტეტის წევრის, ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, ვ. რცხილაძეს დაპატიმრების შესახებ. ამის შემდეგ მკვდრის სიჩუმე სუფევს ამ საქმეზე. დღემდე სამჯერ მოხდა საუბარი ზვიადის ოჯახობასთან, ქალ-ონ მანანასთან, რომლის მოხედვით, 7 აპრილს ზვიადი ქუჩაში დააპატიმრეს. იმავე დროს დააპატიმრეს მერაბ კოსტავა და ვიქტორ რცხილაძე. უკანასკნელი ორი დღის შემდეგ გაანთავისუფლეს, მან არაფერი იცის მისი ორი მეგობრის შესახებ და ვალდებულია ყოველდღე პოლიციის აღრიცხვაზე გატარდეს. ზ. გამსახურდიას დაპატიმრების თანავე, პოლიციამ მთ-

ლიანად გადმოქექა მისი სახლი, წაიღო დიდძალი ხელნაწერები, როგ— ორც ზვიადის, ისე განსვენებულ კონსტანტინესი. წაიღეს აგრეთვე კ. გამსახურდიას ნაქონი იარაღი, რომელთა შესახებაც მათ ჰქონდათ ყვე- ლა საჭირო ნებართვის მოწმობები. მიუხ ედავად ამისა, ქალ-ონ მანა- ნას ეშინია პოლიციამ ზვიადს არ დასწამოს ტერორისტული აქტები.

დღეს, როცა ეს სტრიქონები იწერება, ქალ-ნმა მანანამ არაფერი იცის თუ სად და რა პირობებში იმყოფება მისი ქმარი და მე- რა კოსტავა. ზვიად და მანანა გამსახურდიებს ჰყავთ 8 თვის ბიჭი-ცოტნე. ბავშვის მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, ისინი აიძულეს დაეტოვებინათ მამისეული სახლი, დიდი პროტესტების შემდეგ ნება მისცეს უკან დაბრუნების, მაგრამ გააფრთხილეს= ხელი არა- ფერს ახლოთ, არაფერი შეაკეთოთ, აქედან მალე უნდა გადაბარგდეთო. სახლს მუდმივ დარაჯობენ პოლიციელები, მათი შიშით მეგობრები ვეღარ მიდიან სანახავად, ქალ- ნი მანანა არ მსახურობდა რა- დგანაც პატარა ბავშვი ჰყავდა, ახლა კიდევაც რომ უნდოდეს სა- მსახურს ვეღარსად იშოვნის, ამრიგად, ქალ-ნ მანანას თქმით ის იმყოფება მატერიალურად და მორალურად უნუგეშო მდგომარეობაში.

პარიზი. 16 აპრილი 1977.

## ზ ვ ი ა დ  გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა ს  წ ე რ ი ლ ი

### ქართ. ეკლესიის მდგომარეობაზე დასავლეთის პრესაში გამართულ კამათის გამო.

ეს წერილი დათარიღებულია 1976 წლის 28 იანვრით და მან დასავ- ლეთში მოაღწია მხოლოდ წლის ბოლოს, რუსულად. წერილი შეიცავს 22,4 გვერდ ს. მოგვყავს სიტყვასიტყვით წერილის შესავალი = " მე თვალყურს ვადევნებ მასალებს, რომლებიც დასავლეთის პრე- საში ქვეყნდება ქართ. ეკლესიის ამჟამინდელ მდგომარეობის შესა- ხებ და მსურს გამოვთქვა ზოგი მოსაზრება ამის გარშემო. მისასალმებელია დასავლეთის ჟურნალ - გაზეთების ინიციატივა, რომ- ლებიც ცდილობენ გააშუქონ ეს რთული საქმე. მაგრამ უნდა ითქვ- ას აგრეთვე, რომ გაზეთები ( ინგლისში " ტაიმსი", " რელიგია კო- მუნისტურ ქვეყნებში", პარიზში ქართ. გაზეთი " თავისუფლების ტრიბუნა" და სხვა) დიდ სიძნელეების წინაშე დგანან ინფორმაცი- ის უკმარობის გამო.

დასავლეთის პრესაში გამოქვეყნდა თბილისის კიროვის რაიონის პროკურორის თანაშემწის დავით ქორიძის ცნობა საქ. საპატრიარქოს გაძარცვის შესახებ, რომელიც მან წარუდგინა საქ. კომპარტიის ცეკას. გამოქვეყნდა თეიმურაზ ჯვარშეიშვილის ჩვენება და ა. შ. ზოგმა უცხოელმა ავტორმა ეჭვიც კი შეიტანა ამ დოკუმენტების უტყუარობაში. ამას ამტკიცებდა მაგალითად დევიდ ლენგი პიტერ რედეუესთან კამათში, 1975 წლის აგვისტოში, და შემდეგ იგივე გაიმეორა ფულპ აიმის და გიბრალტარის ეპისკოპოსმა იოანემ, გა- ზეთ " ტაიმსის" ფურცლებზე.

მე კარგად ვიცნობ ყველა ამ დოკუმენტს. მეტიც, მე ხელი შევუწყვე მათ წარმოშობას. გარდა ამისა, როგორც სიონის ტაძრის საეკლესიო საბჭოს წევრი, მე ვსწავლობ ამ საქმეს და ვაგროვებ ყველა მასალებს. მე მომიხდა კონტაქტში ყოფნა ქორიძის დოკუმე- ნტში ჩამოთვლილ ყველა პირთან. უცხოელებისათვის ძნელია არსე- ბულ მდგომარეობაში გარკვევა, რადგანაც ისინი შორიდან უყურებენ ამ მოვლენებს, მაგრამ მე მაინც შევეცდები ნათელვყო ზოგიერთი საკითხი."

ამის შემდეგ შემოკლებით გადმოვცემთ ზ. გამსახურდიას წერილის შინაარსს. მამაჩემის და მისი მეგობრის პატრიარქ კალისტრატეს ( ცინცაძე ) წყალობით, წერს ზვიად გამსახურდია, მე ახლოს ვიყ ავი ჩვენს საეკლესიო ცხოვრებასთან. 1948 წელს მომნათლა კალი- სტრატემ, მანვე შემაყვარა ქართული ეკლესია და ქრისტეს სახარ- ება. 1965 წლიდან შევუდექი ღვთისმეტყველების საფუძვლიან შესწ- ავლას. ვესწრებოდი სიონის ტაძარში ყველა ღვთისმსახურებას, ყვე- ლა დღესასწაულს. ხშირად ვისმენდი ეფრემ მეორის ქადაგებებს. ზოგიერთი მათგანით, დასაწყისში, კმაყოფილიც ვიყავი. 1965-69 წლებში მე და ჩემმა მეგობრებმა რელიგიით დავაინტერესეთ მრა- ვალი ახალგაზრდა. ვაწარმოებდით პოლემიკას ათეისტებთან და თა- ნდათან ეკლესიისკენ მოვიზიდეთ ახალგაზრდობის დიდი ნაწილი. ამან დიდი შეშფოთება გამოიწვია მთავრობის წრეებში. მათ დაიწყ- ეს დაწოლა და შანტაჟი ეფრემ მეორეზე. ეფრემი არ ეკუთვნოდა ისეთ შეუდრეკელ პრინციპულ ღვდელმთავართ რიცხვს როგორებიც იყ- ვნენ მამა ამბროსი და კალისტრატე. ხელისუფლებამ ის დააშინა, მისი ქადაგებები უშინაარსო გახდა, დაკარგა პატრიოტული მოწოდე- ბები, რამაც უარყოფითად იმოქმედა ახალგაზრდობაზე, რომელიც ბევრს მოელოდა პატრიარქისაგან. შემდეგ, ზ. გამსახურდია, დაწვ- რილებით აღწერს მის ურთიერთობას ეფრემ მეორესთან და ასკვნის= " არ შემიძლია ვთქვა იყო თუ არა ის აგენტი, რადგანაც ამის დამ- ამტკიცებელი პირდაპირი საბუთები არ გამაჩნია. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ის იყო გაორებული პიროვნება - ერთი მხ- რით , ის ანგარიშს უწევდა მთავრობას და მის ორგანოებს, მე- ორე მხრით, უფრთხილდებოდა პატრიოტულ ინტელიგენციას. ამით უნდ- ა აიხსნას, რომ ის თავიდან მოიშორეს და მის ადგილას დას- ვეს დავით დევდარიანი. " დავით მეხუთე, ზ. გამსახურდიას თქმით, არის უაღრესად უვიცი და ანგარებიანი ადამიანი. პატრი- არქის თანამდებობა მან დიდი ქრთამით მოიპოვა.

რაც შეეხება ბიძინა კერატიშვილს, რომელიც ამჟამად ეპისკოპოს- ია და საპატრიარქოს ქორეპისკოპოსი, ზ. გამსახურდია წერს, რომ თავიდან მასზე ეჭვი არავის არ ეპარებოდა, ის მიაჩნდათ ახალგაზრდა მორწმუნეთ, რომელსაც სურდა სასულიერო გზაზე დადგო- მა. მისი საპატრიარქოში მდივნად მიღება ჯერ კიდევ გაურკვევე- ლია, მოხდა ეს პოლიციის კარნახით, თუ თვით ეფრემ მეორის ინიციატივით. დროთა განმავლობაში გამომჟღავნდა = კერატიშვილი აგენტი იყო სახ. უშიშროების კომიტეტის და ასრულებდა მის და- ვალებებს. დავით ქორიძის გამოძიებით მის წინააღმდეგ აღძრული დანაშაულის საქმე - საპატრიარქოს გაძარცვის შესახებ - არავითარ ეჭვს არ იწვევს ქართველ მორწმუნეთა შორის. კერატიშვილის და- ნაშაობის უეჭველობის დასამოწმებლად , ზ. გამსახურდიას მოყავს ახალი საბუთი = ქურდებმა გაძარცვეს კერატიშვილის ბინა , ქურდე- ბი( ბაკუზოვი, ბადაგიანი და შაქარიანი ) აღმოაჩინეს, და დაა- პატიმრეს.. მათ აღმოაჩნდათ ზოგიერთი სატი ( ერთი მათგანის ღირ- ებულება უდრის 116 ათას მანეთს ახალი კურსით ) .როცა გამომძიებ- ამ ჰკითხა კერატიშვილს თუ საიდან ჰქონდა მას ეს სატები, მან უპასუხა = "ეს თქვენ არ გეხებათ, სატები მე მაჩუქეს." ამის გამო სასამართლომ, რომელიც ამ საქმეს არჩევდა, არ მი- იღო ეს საქმე და ხელახალ გამოძიებისთვის დაუბრუნდა ოქტომბრის

რაიონს. ასე რომ გამოძიება გრძელდება, მაგრამ ბუნებრივია, რომ სახ. უშიშროების კომიტეტი მასაც ისევე " გაყინავს " როგორც თავის დროზე კიროვის რაიონის გამოძიება.

ზვიად გამსახურდიას აზრით, საქ. საპატრიარქოს გაძარცვა, დავით მესუთის პატრიარქად არჩევა და კერატიშვილის ეპისკოპოსად კურთხევის დირექტივა მოდის მოსკოვიდან. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ედუარდ შევარდნაძე, მიუხედავად მისი სურვილისა გააშავოს ვასილ მჟავანაძე და მისი ახლო თანამშრომლები, უძლური აღმოჩნდა მხილებაში მიეცა ამ საქმისათვის.

საქ. ეკლესიის საქმეზე დასავლეთის პრესის და რადიოს გამოხმაურებამ, ზვიად გამსახურდიას მოსაზრებით, გამოიღო ის შედეგი, რომ კერატიშვილს და მის დამქაშებს აღარ აწინაურებენ, უკრძალავენ შეხვედრას უცხოეთის ღვთისმსახურებთან. უცხოელებისაგან ახევე იზოლირებულია დავით მესუთე. თუ საზღვარგარეთ გაგრძელდება მამხილებელი კამპანია, საქ. ეკლესია შეძლებს თავის დაღწევას კერატიშვილის მსგავსი " ღვთისმსახურების " გამრავლებისაგან. მაგრამ, უნდა ითქვას, ეკლესიის მდგომარეობა საგრძნობლად არ გაუმჯობესდება თუ ცხოვრებაში არ განხორციელდა სახელმწიფოსაგან მისი გამოყოფა, თუ მან არ მიიღო თავისი თავის მართვის უფლება.

ზ ვ ი ა დ   გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა, თავის წერილში, აკრიტიკებს " თავ. ტრიბუნის" ზოგიერთ პოზიციას. ზოგ ჩვენს მიერ დასმულ კითხვას ახლებურად მარტავს. თანახმა არის, რომ ლ. ქორიძეს ცნობა და თ. ჯვარშეიშვილის მოწმობა შეიძლება შეიცავდეს ზოგიერთ შეცდომებს, მაგრამ, ამბობს ის = "ქორიძე ძირითადში ეყრდნობა შემოწმებულ, სწორ ფაქტებს, რომლებიც დღეს დამტკიცებულად ითვლება ქართ. მორწმუნეთა საზოგადოებისათვის."

"მაგალითად, წერს ზ. გამსახურდია, დოკუმენტის ერთერთ წინაამდეგობად ითვლება ის, რომ სახ. უშიშროების კომიტეტი წინაამდეგი იყო სემინარისტების დაშვებისა კრებაზე, რომელსაც უნდა აერჩია დავით მესუთე. "თავისუფლების ტრიბუნა" ამბობს =" მცხეთის სასულიერო სემინარიის აბიტურიენტების შერჩევა თითქოს ხდება სახ. უშიშროების პოლიციის და საკულტო რწმუნებულის მიერ. მაშ, როგორ მოხდა, რომ ისინი წინაამდეგი არიან დ. დევდარიანის, და ამიტომ დაშვებული არ იყვნენ სინოდის სხდომაზე?" " შეიძლება ითქვას, წერს ზ. გამსახურდია, ქორიძის ცნობის ეს ადგილი მართლაც გადაჭარბებულია. საქმე იმაში კი არაა, რომ სემინარისტების წინაამდეგობას რაიმე ფასი ექნებოდა, არამედ იმაში, რომ სახ. უშიშროების კომიტეტს სურდა სხდომის სადღუმლო ვითარებაში ჩატარება, სემინარისტების იქ დასწრების შემთხვევაში მათ არ ექნებოდათ ისეთი კონსპირაციულობა, როგორც მაგალითად გამოცდილ აგენტს კერატიშვილს." ჩვენ რამდენადაც ვიცით, ეკლესიის განაწესის მიხედვით, სენარისტები არ ღებულობენ მონაწილეობას პატრიარქის არჩევაში. ამიტომ ჩვენ მაინც იმ აზრის ვართ, რომ ლ. ქორიძის ცნობის ეს ადგილი უვარგისია სახ. უშიშროების კომიტეტის შეთქმულების დასამტკიცებლად. შემდეგ, ზ. გამსახურდიას მოაქვს " თავ. ტრიბუნიდან" შემდეგი ადგილი =" საეჭვოა, რომ საზ. სახ.-ს მოხელე, დ ავით ქორიძე,, დაინტერესებული იყოს საქ. მართლმ. ეკლესიის მორალურ და სარწმუნოებრივ სიწმინდის დაცვაში და რომ იგი შეშფოთებული იყოს მისი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერსპექტივით." და შეგვნიშნავს =" ეს განცხადება ნათლად მოწმობს იმას, რომ მისი ავტორები შორს დგანან ამჟამინდელ ქართულ სინამდვილესაგან. საქმე იმაშია, რომ დღეს საქართველოში მრავალ საბჭოთა მოხელეს გულში აქვს პატრიოტული გრძნობები, მაგრამ მათი გამოვლინება არ შეუძლიათ თანამდებობის დაკარგვის თუ სხვა სახის რეპრესიის შიშით. რაც შეეხება დ. ქორიძეს, ის არის ადამიანი, რომელმაც ვერ აიტანა ყველა ის სისაძაგლე, რომელსაც წააწყდა საპატრიარქოს გაძარცვის გამოძიები სას."..."ჩემთან საუბრისას, ქორიძეს არაერთხელ აღუნიშნავს =" მე ვარ კომუნისტი და ათეისტი, მაგრამ მიყვარს ჩემი სამშობლო და გულისტკივილით ვუყურებ ქართულ ეკლესიის გადაგვარებას, რადგანაც მას ჩვენი კულტურის ერთერთ კერად ვთვლი. ჩემი პროფესიული სინდისი არ მაძლევს უფლებას გულხელდაკრეფილი ვუცქირო კერატიშვილის მაგვარ ბოროტმოქმედთა თარეშს და ამიტომ ვიბრძვი ასე გაათრებით."..." ამ პირებს პირველ ყოვლისა ავიწყდებათ ის გარემოება, რომ ქორიძე ამ ცნობის დაწერისთვის ფაქტიურად მოხსნეს სამსახურიდან( პენსიაში გასვლის საბაბით) და, რომ იგი დღემდე განიცდის უკიდურეს მატერიალურ გაჭირვებას და დევნას."

უნდ ა ვაღიაროთ, რომ ზ. გამსახურდიას მიერ დასახელებული ადგილი სრულად და ნათლად ვერ გამოხატავს ჩვენს აზრებს და ის შეიძლება ისეც აიხსნას, როგორც ეს გაუგია ზ. გამსახურდიას. მაგრამ არამც და არამც ზ. გამსახურდიასეული ახსნა არ გამოხატავს ჩვენს ნამდვილ განწყობილებას. ჩვენ ერთი წუთითაც ეჭვი არ შეგვპარვია, ეჭვი არ გვეპარება, საერთოდ ქართველ საბჭ. მოხელეების პატრიოტიზმში, კეთილსინდისიერებაში და კეთილშობილებაში. როცა ჩვენ ეჭვის ქვეშ დავაყენეთ საბჭოთა მოხელეს, დ. ქორიძეს, გულწრფელობა საქ. ქრისტ. ეკლესიის მორალურ და სარწმუნოებრივ სიწმინდის დაცვაში და ეკლესიის დამოუკიდებელი არსებობის დაკარგვის საფრთხეში, მხედველობაში გვქონდა არა მისი გულისნადები, არამედ სწორედ ის, რასაც ზ. გამსახურდია თვალ აღნიშნავს =" საბჭ. მოხელეს გულში აქვს პატრიოტული გრძნობები, მაგრამ მათი გამოვლინება არ შეუძლიათ თანამდებობის დაკარგვისა თუ სხვა სახის რეპრესიების შიშით."

დღეს ისიც უნდა ითქვას = როცა "თავ. ტრიბუნის" მე-6 ნომერში ამ საკითხს პირველად ვსწავლობდით, ჩვენს ხელთ იყო მხოლოდ ერთი არაოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც აღწერილი სისაძაგლის ამბები ყოველგვარ მოსალოდნელს აღემატებოდა. მაშინ, პროფესორ დ. ლენგის მსგავსად, ჩვენც შეგვეძლო ეჭვი შეგვხვედროდა, და დაგვესვა კითხვა = ხომ არ იყო ის ცილისწამება, შეგნილი და გავრცელებული პოლიტიკურ პოლიციისაგან. მის შემდეგ, ხელისუფლების დამოკიდებულება ამ საქმისადმი (რომ ის ხელს უშლის საქმის გარჩევას ), პროკურორ დავით ქორიძეს თანამდებობიდან მოხსნა, პოლიციის მიერ წარმოებული დევნის მაგალითები „საქმის" მოწმეების და მამხილებლების, ვალენტინა ფაილოძეს, თემურაზ ჯვარშეიშვილის, ზ. გამსახურდიას და სხვების მიმართ, და ბოლოს გამსახურდიას ავტორიტეტული მოწმობა, ფანტავს ყოველგვარ ეჭვებს და მეტყველებს დ. ქორიძეს ცნობის მართებულობის სასარგებლოდ. ბოროტმოქმედთა დაუსჯელობის პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება ხელისუფლებას.

დაბოლოს, ზვიად გამსახურდია წერს = " პარიზის გაზეთ "თავ. ტრიბუნაში"(ნომერი 6. 1974 წელი) ვკითხულობთ =" სანამ კარგად არ იქნება გამორკვეული ეკლესიის საქმე, ჩვენ სრული ნდობა უნდა გამოუცხადოთ საქ. ამჟამინდელ პატრიარქს დავით მეხუთეს." ამ განცხადების ავტორებს, რომ მოესმინათ მისი ქადაგება სვეტიცხოვლის ტაძარში, 1973 წლის 14 ოქტომბერს, მცხეთობის დღესასწაულზე, მაშინ ისინი ნამდვილად შეიცვლიდნენ აზრს დავით მე-5-ზე. მან სიტყვასიტყვით განაცხადა =" მსოფლიოში დღეს ამდენი არეულობა იმიტომაა, რომ კომუნიზმს ყველგან არ გაუმარჯვნია. მსოფლიოში ნამდვილი მშვიდობა მაშინ დამყარდება, როცა კომუნიზმი ყველგან გაიმარჯვებს."..." დავით მე-5-ს ქადაგებებს ხშირად "ამკობენ" ლირიკული გადახვევები მარქსიზმისაკენ. მაგ. ერთ დღეს, ქადაგების დროს მან თქვა =" გუშინ შემთხვევით გავხსენი ერთი წიგნი და წავიკითხე ასეთი შესანიშნავი რამ = პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით! როგორ შეიძლება ამას არ მოვესალმოთ"?"

ზ. გამსახურდიას სხვა ბევრი მაგალითები მოაქვს, რომლებიც მოწმობენ, რომ დავით მეხუთე არ ზრუნავს არც შეუფერებელ ღვთისმსახურებიდან ეკლესიის გაწმენდაზე და არც მომქმედ ისტორიული ტაძრების მოვლა-შეკეთებაზე.

ზ. გამსახურდიას მიერ დასახელებულ ცოტაოტაზე და მის მიერ მოცემულ ახსნა- განმარტებებზე, საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი შენიშვნები =

1. ზ. გამსახურდიას მიერ მოტანილი წინადადება სრული არ არის თ. ტრიბუნაში ნათქვამი იყო ="... მიუხედავად მძიმე ბრალდებებისა, საქ. მართლმ. ეკლესიის არსებულ იერარქიას და მის მეთაურს, დავით მეხუთეს, უნდა გამოეცხადოს სრული ნდობა მანამ, სანამ ეკლესიის წიაღში შექმნილი სპეციალური კომისია ამ საკითხზე თავის მსჯავრს გამოიტანს." აქედან ცხადია, რომ ჩვენ არ ვუარყოფთ დავით მეხუთის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს, წინააღმდეგი ვართ , ამ ბრალდებების მოტივით, ხელისუფლება კვლავ ჩაერიოს ეკლესიის შინაურ საქმეებში, პატრიარქის საკითხი უნდა გადაწყდეს თვით ეკლესიის წიაღში, და სანამ ეს არ მომხდარა ანარქიას არ უნდა ექნეს ადგილი. დავით მეხუთემ უნდა აწარმოოს ქარ. ეკლესიის საქმეები.

2. თვით ზ. გამსახურდიას განცხადებიდან ცხადია, რომ ქართ. ეკლესიის შიგნით ამჟამად არ არსებობს მოძრაობა, რომელიც ითავებდეს ეკლესიის გაჯანსაღების მისიას და ბრძოლას გამოუცხადებდეს, როგორც დავით მე-5-ს, ისე მის აშკარა თუ ფარულ მოკავშირეებს. თვით ეფისკოპოსი ილია( შიოლაშვილი), რომელიც ყველაზე უკეთესად ჩანს მოწოდებული ამ მისიისათვის, დავით მეხუთესთან თანამშრომლობის გზას ადგია.

3. თქმა არ უნდა, პატრიოტული მოსაზრებებიც რომ არ ვახსენოთ, ეკლესიის მეთაურს, რომ სიმპატიები ჰქონდეს მებრძოლ ანტირელიგიურ რეჟიმის, არის არა ბუნებრივი, და მისმა ასეთმა ქადაგებებმა არ შეიძლება მავნე გავლენა არ მოახდინოს მის მრევლზე. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ უაღრესად მძიმე პირობებს, რომლებსაც ხელისუფლება უქმნის ეკლესიის მსახურებს, მაშინ დავით მეხუთეს ქადაგებების საბჭოთა პატრიოტიზმის სასარგებლო" ლირიკული გადახვევები" შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც სარკე გალებული და არა, როგორც მისი გულის სიღრმიდან ამოვლენილი უანგარო ღაღადისი. ყველა ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართული ეკლესიისათვის, მისი გაჯანსაღებისათვის, იქნებ უკეთესი იყოს დავით მეხუთეს და ბოძინა კურატიშვილის საქმეები , რომ გაცალცალკევდნენ. დავით მეხუთეზე დადებითი ზეგავლენის მოხდენით იქნებ შესაძლებელი იყოს ზოგიერთი სასურველი ღონისძიების გატარება. დავით მეხუთე ღრმა მოხუცია. მისი შეცვლის დრო არ დააყოვნებს. სწორედ იმ დროისთვის საჭიროა ქარ. ეკლესია მომზადებული იყოს, რომ ახალი პატრიარქის არჩევნები ჩატარდეს ქართ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის დამოუკიდებლობისა და ღირსების ნიშნით.

## მესხი-თურქები თუ მესხი-ქართველები.

აკადემიკოს ანდრეი სახაროვის ნიუ-იორკის გამომცემლობა ქრონიკის მიერ 1975-ც წელს გამოცემულ წიგნის - " ქვეყანასა და მშვიდობაზე"- 26-ე გვერდზე ვკითხულობთ: "ციხეები და განსაკუთრებით ფსიქიატრული საავადმყოფოები სავსეა ადამიანებით, რომლებიც შეეცადნენ ქვეყნის საიდუმლოდ დატოვებას, ანდა ამ მიზნით შეეცადენ საელჩოებში შეჭრას მას შემდეგ, რაც მათი უფლების განხორციელება ვერ შესძლეს ოფიციალური გზით. ციხეები სავსეა თავის მომაზრებელ მორწმუნეებით და "სამართლიანობისათვის მებრძოლეებით". პატიმრობაშია ათობით ყირიმელი თათრები და მესხი-თურქები".

ამ ამონაწერში, სხვადასხვა მიზეზების გამო ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო სიტყვამ - "მესხი-თურქები". ვინ არიან ეს მესხი-თურქები, საიდან გამოჩნდნენ საბჭოთა რუსეთში და შუა აზიის რესპუბლიკებში, საიდან წარმოიშვა ეს სიტყვა-კომპოზიტი?

ეს მესხები, რომლებსაც თურქებს უწოდებენ, სინამდვილეში არიან შთამომავლები მესხების იმ ქართული ტომისა, რომლებსაც ძველი ბერძნები მესხების სახელით იცნობდნენ , და რომლებთანაც, ბერძნების გადმოცემით, სწავლობდა თვით პითაგორაც. მესხების საზღვარმა სამხრეთით მიაღწია მდინარე არაქსის სათავეებამდე, და ამ ტომიდან შემდეგ შეიქმნა დიდი ქართული სამთავრო სამცხე-საათაბეგო. მესხები საუკეთესო მეომრები იყვნენ, ქართული ლაშქრის ავანგარდი დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს, XI-XII-ე საუკუნეებში. როგორც წესი, მესხებში ირჩევდნენ სარდალს, რომელსაც ათაბეგი ეწოდა. (იხილეთ საქართველოს მატიანე - "ქართლის ცხოვრება") ეს მხარე არის მონასტერთა კულტურის კერა, ცნობილი მოღვაწეების - გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულეს სარბიელი, პოეტ შოთა რუსთაველის, მოქანდაკეების ბექა და ბეშქენი ოპიზარების, ღვთისმეტყველ-მწერლების იოანე და გიორგი მთაწმინდელებისა , გმირების ივანე და შალვა ახალციხელების და სხვათა სამშობლო. მართლაც წისქვილის ქვა უნდა დატრიალებულიყო მესხების თავზე, რომ ისინი თურქებად გამოეცხადებინათ. აი ამ მოვლენის მოკლე ისტორია.

16-ე საუკუნეში, ხანგრძლივი იერიშების შემდეგ, თურქებმა საქართველოს წაართვეს სამცხე-საათაბაგოს სამთავრო და მიუხედავად მესხების გმირული წინააღმდეგობისა, თურქებმა 300-ი წლის მანძილზე შესძლეს მესხი-ქართველების გამუსულმანება. თურქეთის აგრარული კანონი მაშინ ამბობდა: "მთელი მიწა ალლაჰს ეკუთვნის და მი-

წის მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ ალლაჰს კანონების მიმდევარი, ე.ი. მუსლიმანი. მაშინ თურქეთში სულთანის სამსახურში ყოფნა გაიგივებული იყო სამხედრო სამსახურთან. სულთანის კანონების შესრულება ნიშნავდა ალაჰის კანონების შესრულებას და მიწის ნაკვეთის ფლობას. ასე რომ ქართველი გლეხისთვის ამ რაიონში დიდემალ გახდა - გამუსულმანება ან დაღუპვა.

თურქებმა ამ მხარეებში ჩაასახლეს თურქული ტომები, ძალდატანებით დაიწყეს თურქული ენის დანერგვა, მაგრამ მესხებში ვერ ჩაახშვეს ეროვნული გრძნობები, ვერ აღმოფხვრეს მშობლიური ენა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად (1828-1829 წლებში), საქართველოს შეუერთდა ახალციხის საფაშოს ნაწილი, კერძოდ ახალციხისა და ახალქალაქის რაიონები.

მესხებს ახალი უბედურებანი დაატყდათ თავზე. . ცარისტული რუსეთის მთავრობა განზრახ არ ანსხვავებდა ეროვნებას სარწმუნოებისაგან და ქართველ მუსლიმანებს თურქებად თვლიდა. 1829 წელს, რუსეთის მთავრობამ, საქართველოს მთავარი მმართველის, პასკევიჩის ხელით, მშობლიურ ადგილებიდან თურქეთში გაასახლა მრავალი გამუსულმანებული ქართველი და მათ ადგილზე დაასახლა 30.000-ი სომეხი. მაგრამ, სამშობლოში დარჩენილი მესხები უკეთეს მდგომარეობაში როდი აღმოჩნდენ. 1900-ან წლებში მთავრობამ თურქული სკოლები გახსნა ამ ოლქის ქართველ მუსლიმანებისთვის ; ეს სკოლები არსებობდნენ 1930-წლამდე. 1930- წელს, საბჭოთა მთავრობამ , ნაცვლად ქართული სკოლებისა მესხ-ქართველებს გაუხსნა აზერბაიჯანული სკოლები, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ქართულ ენაზე ლაპარაკობდა და რომ მას ქართული სკოლები სურდა.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა მთავრობაც განზრახ არ ანსხვავებდა ეროვნებას სარწმუნოებისაგან, და კვლავ დატრიალდა ულმობელი წისქვილის ქვები მესხების თავზე.

1944- წელს, 300.000-ი ქართველი-მესხი მოტყუებითა და ძალით რამდენიმე ღამის განმავლობაში აყრილ იქნა მშობლიური მიწიდან და გასახლებული, როგორც თურქები, შუა აზიის რესპუბლიკებში. მხედველობაში არ იქნა მიღებული არც მათი წარმოშობა, არც ქართული ენა, არც ქართული გვარები და ის სისხლი, რომელიც მათ დაღვარეს ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის. მრავალი მათგანი დაიღუპა ან მძიმედ დაავადდა მძიმე კლიმატურ პირობებში. ასე რომ, საბჭოთა მთავრობის მზრუნველობამ" ასჯერ გადააჭარბა თურქებისა და ცარისტული რუსეთის ცდებს ამ ხალხის ეროვნული გრძნობის ჩახშობის მიზნით. ეს გრძნობა დღესაც ცოცხალია.

ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის დროს, როცა მშობლიურ ადგილებში დაბრუნდნენ საბჭოთა მთავრობის მიერ გადასახლებული ჩეჩნები, ინგუშები და ა.შ., ბუნებრივად დაისვა მესხების სამშობლოში დაბრუნების საკითხიც. ხმა პირველებმა აღიმაღლეს თვით მესხებმა, და მათ მალე შეუერთდა საქართველოს მთელი მოწინავე ინტელიგენცია. საკითხები მათი ქართული წარმოშობისა და მათ მიმართ ჩადენილი უკანონობისა მეცნიერულად და იურიდიულად იქნა შესწავლილი და შედეგები წარედგინა საქართველოს მთავრობას. გულმოდგინე მონაწილეობა ამ საქმეში მიიღეს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა შოთა ლომსაძემ, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა მესხების საკითხი, მუსიკალმცოდნემ, პროფესორ პავლე ხუჭუამ და სხვებმა, და აგრეთვე ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გ. დეზეცმა, რომლის გამოკვლევა გაეგზავნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან ტაშკენტში არსებულ მიკლუხო-მაკლაის სახელობის მოსკოვის ეთნოგრაფიულ ინსტიტუტს. "ეს თურქები არიან გამუსლიმანებული და ენის მხრივ გათურქებული ქართველები (მესხები)" წერდა იგი.

თითქოს, ყველაფერი კეთილად მიმდინარეობდა და მესხები დღეს თუ ხვალ მიაღწევდნენ თავიანთ სანეტარო მიზანს, მაგრამ მოსკოვმა, უეცრად, ხელის ერთი მოქნევით შეაჩერა კარგად დაწყებული საქმე და მესხებს დართო ნება - დასახლებულიყვნენ საბჭოთა კავშირის ნებისმიერ რესპუბლიკაში, გარდა საქართველოში. ამით, მთავრობამ უხეშად დაარღვია საბჭოთა კონსტიტუციის ის პუნქტი, სადაც ლაპარაკია საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად ამორჩევაზე საბჭოთა კავშირში თვითეულ მოქალაქისათვის, თუ არაფერს ვიტყვით ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე. ასეთ აკრძალვამ მესხების გულში ვერ აღმოფხვრა სამშობლოში დაბრუნების სურვილი, მესხებისა, რომელთა საუკეთესო შვილები დღესაც აგზავნიან პროტესტის წერილებს საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა საქართველოს მთავრობის ორგანოებში. ისინი ჯგუფებად ჩამოდიან საქართველოში, მოელიან დახმარებას და თანაგრძნობას მთავრობის მხრიდან, მოითხოვენ მათ ბუნებრივ, კანონიერ უფლებას სამშობლოში დაბრუნებაზე, მაგრამ მათი ხმა რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. უმცკივნეულოდ შეუძლებელია ამ ცანჯული ხალხის ყურება, საბჭოთა კავშირის ვებერთელა ტერიტორიაზე დაფანტული, რომელიც თრთოლით ელის მშობლიურ მისადგომს. მდგომარეობა არ შეცვლილა საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივან შევარდნაძის წელისუფლებაში მოსვლის დროიდან. მასსაც აშინებს მოსკოვის მუქარები. ასე რომ არაფრად არ ღირს უუფლებო მესხებისა და აგრეთვე უუფლებო ქართული ინტელიგენციის საერთო სურვილები. მესხ-ქართველებს არამც თუ აუკრძალეს სამშობლოში დაბრუნება, არამედ პასპორტებში ქართველებად ჩაწერაც. ჩაწერილნი არიან, როგორც აზერბაიჯანელები. ასეთი უბედურება წილად არ ხვდა ებრაელებსაც კი მათი სისხლიანი ისტორიის მთელს მანძილზე. მათ განიცადეს დიასპორა, ცარისტული რუსეთის საშინელი პოგრომები, გერმანელების გაზის კამერები, საბჭოთა ანტი-სემიტიზმი, მაგრამ მათთვის არავის არ ჩამოურთმევია ეროვნება. მესხების შემთხვევა არის უპრეცედენტო მოვლენა მსოფლიო ისტორიაში. ძალით გამუსულმანებულ ქართველების ეროვნებას არ უარყოფენ თვით თურქები; ქართველ მუსლიმანებს უწოდებდნენ და დღესაც უწოდებენ გურჯებს, რაც თურქულად ქართველს ნიშნავს. საბჭოთა მთავრობის ამგვარი მოქცევა დიდად ჩამოგავს შეთქმულებას ქართველი ხალხის წინააღმდეგ, შეთქმულებას, რომლის ძირები ჩრდილოეთში იმალება და რომლის ფასადია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

1976- წლის გაზაფხულს თბილისში ჩამოვიდნენ გასახლებულ მესხ-ქართველების წარმომადგენლები ჯემალ აბაშიძე და პოეტი ალიხან აბასთუმანელი, მათ შეხვედრა მოითხოვეს საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივან შევარდნაძესთან მათთვის მტკივნეული საკითხების გამოსარკვევად. შევარდნაძის მისაღები განყოფილების გამგემ უპასუხა მათ: "შევარდნაძე არავის არ ღებულობს ნაციონალური საკითხის შესახებ", და დასძინა - "რა მნიშვნელობა აქვს, თუ სად იცხოვრებ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე". ხოლო შეკითხვაზე ეროვნების აღდგენის შესახებ, მან არ დააყოვნა პასუხი : "სულერთი არაა, თუ როგორ იქნები ჩაწერილი პასპორტში, ნაციონალური საკითხი საბჭოთა კავშირში უკვე დიდი ხანია მოგვარებულია." ასე გულგრილად მოიშორეს თავიდან შევარდნაძემ და იაშვილმა შორიდან ჩამოსული მესხი-ქართველები, რომლებიც იმედოვნებდნენ თანამემამულეების დახმარებაზე და ისინი უკან გაუშვეს ყოველგვარი პასუხის გარეშე

ახლა კი ბუნებრივად მივედით კითხვამდე - სახაროვმა და "მიმდინარე ამბების ქრონიკის" შემდგენლებმა რატომ იხმარეს სიტყვა "მესხი-თურქები", და არა "მესხი-ქართველები"? ჩვენ ხომ ყველა ვიცნობთ პატივცემული აკადემიკოსის და ქრონიკის შემდგენლების მისწრაფებას ობიექტურობისაკენ.

როგორც ცნობილია, 1944 წელს, გარდა ქართველ მესხებისა, საბჭოთა მთავრობამ სამხრეთ საქართველოდან გაასახლა ამ ადგილებში წინათ დასახლებული თურქული ტომები და თათრები, რომლებზედაც პროფესორი დებეცი წერს, რომ არიან აზერბაიჯანელები. უნდა ვიფიქროთ, რომ გადასახლებულთა ამ ნაწილმა მოითხოვა ემიგრაცია თურქეთში. სწორედ ასე აგვიხსნეს ეს მოვლენა საქართველოში ახლახან ჩამოსულმა ქართველმა მესხებმა. როგორც ჩანს, მოსკოვის ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ადამიანის უფლებათა დამცველებს მათთან ჰქონდათ კონტაქტები, ხოლო მესხების ისტორიას, როგორც ჩანს, ისინი არ იცნობდნენ.

ასე რომ, როცა ლაპარაკობენ მესხზე, აქ არაფერ შუაშია თურქი, და პირიქით. ამ სიტყვების ერთობლივად ხმარება არის სუფთა უაზრობა. მესხები არიან უძველესი ქართული ტომი, ძალით აყრილი მშობლიური მიწიდან, რომელიც უშიშრად იბრძვის სამშობლოში დაბრუნებისათვის. მით უფრო მნიშვნელოვანია ყოველ შემთხვევაში ამ სიტყვების სწორად გამოყენება.

მერაბ კოსტავა.
ადამიანის უფლებათა დაცვის საქართველოს საინიციატივო ჯგუფის წევრი.

19 ივნისი 1976 წელი.

========================================

## როგორი დეტანტი?

### ჰელსინკის ხელშეკრულების გამოყენების საკითხი.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებამ, თავისდროზე, დიდძალი ურთიერთ საწინააღმდეგო შეფასებები გამოიწვია. ამ საკითხზე დღესაც გრძელდება აზრთა სხვადასხვაობა და ის ალბათ დიდხანს გაგრძელდება. ჩემს დღევანდელ განზრახვას მისი დაფასება არ შეადგენს, არამედ ამ ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარების ერთი მეტად მნიშვნელოვანი პირობა = საბჭოთა კავშირს და დემოკრატიულ ქვეყნებს შორის მშვიდობიანი კომპეტიციის საკითხი.

აქ საჭიროა გავიხსენოთ ერთი ისტორიული ამბავი = ჰელსინკის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ცოტა ხნის შემდეგ, კრემლს ვიზიტით ეწვია საფრანგეთის პრეზიდენტი ვ. ჟ. დ,ესტენი, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა ერთ უჩვეულო დიპლომატიურ შემთხვევას = რაიმე ოფიციალურ მოტივის გარეშე, კრემლის მიზეზით, მოლაპარაკება შეწყდა და ჟისკარ დ,ესტენი იძულებული იყო ორი დღის განმავლობაში გაუთვალისწინებელი ტურიზმი ეწარმოებია, სანამ ლეონიდ ბრეჟნევი კვლავ განაახლებდა მასთან მოლაპარაკებას. ამ ინციდენტის ახსნელად, იმ დროს, პრესაში სხვადასხვა აზრი გამოითქვა. მათ შორის ერთმა მიიქცია ჩემი განსაკუთრებული ყურადღება = ვითომც ჟ. დ,ესტენს ლეონიდ ბრეჟნევისთვის შეეთავაზებინოს

ჰელსინკის ხელშეკრულების შესაბამისად, საბჭოთა კავშირს ხელი აელო იდეოლოგიურ ბრძოლის წარმოებაზე, რასაც, ვითომც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი განერისხებიოს. საფრანგეთის მთავრობას ინციდენტის ასეთი განმარტება არც დაუდასტურებია და არც უარუყვია. ხოლო საბჭოთა მხარემ, არა პირდაპირ, თითქოს დაამოწმა, როცა ლეონიდ ბრეჟნევმა, ბერლინში (ადგილი უეჭველად განგებ იყო შერჩეული), რომ განცხადებას მეტი ძალა და გამოძახილი ჰქონოდა ), სულ მალე ჟისკარ- ბრეჟნევის შეხვედრის შემდეგ, საჯაროდ განაცხადა, რომ = ჰელსინკში ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულება სრულიადაც არ გამორიცხავს იდეოლოგიურ ბრძოლას და, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც წარსული, მომავალშიაც მხარს დაუჭერს მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციის გამარჯვების საქმეს. "

ამ განცხადებიდან აშკარაა = არავითარი ილუზიები არ შეიძლება არსებობდეს, რომ საბჭოთა კავშირი ხელს აიღებს იდეოლოგიურ ბრძოლის წარმოებაზე, და, რომ საერთაშორისო პოლიტიკურ " დეტანტის " და ჰელსინკის შეთანხმების პირობებში, არსებობს მხოლოდ ორი შესაძლებლობა =

1. დასავლეთ ევროპის და ამერიკის დემოკრატიულმა მთავრობებმა უშებრივად იცნონ იდეოლოგიურ ბრძოლის წარმოება საბჭოთა მხარისთვის და არ დაშვან თავის მხრივ.

2. დასავლეთმა ევროპამ ჩრდილოეთმა ამერიკამ თავისთვისაც მოითხოვოს იგივე უფლებები, რაც საბჭოთა კავშირს ბუნებრივად მიაჩნია თავისთვის, ესეიგი იდეოლოგიურ ბრძოლის უფლება.

ამ ორი შესაძლებლობიდან, პირველი თავისთავად გამორიცხულია, რადგანაც, ამ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირს, და საზოგადოდ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ბლოკს ენიჭება პრივილეგიური მდგომარეობა , რაც ეწინააღმდეგება ჰელსინკის შეთანხმებით აღიარებულ ერთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს. და ამრიგად რჩება ერთადერთი ლოგიკური შესაძლებლობა = სხვადასხვა პოლიტიკურ რეჟიმების და განსხვავებულ ეკონომიურ სისტემების მშვიდობიან თანაარსებობის პირობებში და ორივე მხარისთვის მისაღებ დეტანტის აცმოსფეროში, ლოიალური და მშვიდობიანი კომპეტიცია (შეჯიბრება). ასეთი კომპეტიცია საჭირო და სასარგებლოც არის კაცობრიობის ჰარმონიულ განვითარებისათვის და თუ ის ხელოვნური შეთანხმებით აიკრძალა და მით შეფერხდა, შეიძლება მან გამოიწვიოს ცივილიზაციის მწვავე კრიზისი.

მშვიდობიან კომპეტიციის სასარგებლოდ ლაპარაკობს მარქსი თავის "ისტორიულ მატერიალიზმში". მარქსის მიხედვით = საზოგადოების ისტორიული განვითარება კანონზომიერად წარმოებს. ყოველთვის საზოგადოების უმაღლესი ფორმა იმარჯვებს უმდაბლესზე. ამ კანონით მონათფლობელურმა საზოგადოებამ შეცვალა პირველყოფილ - კომუნისტური, ფეოდალურმა მონათფლობელური, ხოლო, კაპიტალისტურმა ფეოდალური. ამავე კანონით = კაპიტალისტური საზოგადოება უნდა შეიცვალოს მასზე უმაღლესით - კომუნისტურით. მარქსის მიხედვით = ისტორიის ჩარხის ბრუნვის შეჩერება საბოლოოდ შეუძლებელია, მისი მხოლოდ დროებით შეფერხება შეიძლება , რაც მისთვის უარყოფით მოვლენას წარმოადგენს. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს = არცერთ კომუნისტს არ შეუძლია უარყოს მშვიდობიანი კომპეტიცია, თუ მან მარქსის ეს ძირითადი თეორია არ უარყო.

მშვიდობიან კომპეტიციაში, სხვათა შორის, იგულისხმება მშვიდობიან საშუალებებით იდეოლოგიურ ბრძოლის წარმოება. ე. ი. სოლიდარობა ყველა იმ ადამიანებთან და ადამიანთა ჯგუფებთან, რომლებიც იღწვიან ერთდაიგივე საზოგადო წყობილების გამარჯვებისათვის. ლ. ბრეჟნევის განცხადება, ბერლინში, იმიტაც არის საინტერესო, რომ ასეტი პლანეტური ბრძოლა, საბჭოთა მხარისათვის სრულიად ნორმალურად მიაჩნია, როგორც ჰელსინკის დეკლარაციის, ისე საერთაშორისო დეტანტის ფარგლებში, და სრულიადაც ეს არ მიაჩნია სუვერენ სახელმწიფოების შინაურ საქმეებში ჩარევად. იგივე ჰელსინკის საბოლოო აქტის საფუძველზე ( სადაც არაერთხელ საზგასმულია ხელისმომწერ სახელმწიფოების თ ა ნ ა ს წ ო რ უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ო ბ ა ) შეუძლებელია საბჭოთა კავშირმა პრივილეგიური უფლებები მოითხოვოს; რაც მისთვის დასაშვებად მიაჩნია, სხვებისთვის დაუშვებლად ჩათვალოს, თავად ხუთივე კონტინენტზე დარაზმოს თავისი იდეური მოკავშირეები, ხოლო, დასავლეთ ევროპას და ჩრდილოეთ ამერიკას, შინაურ საქმეებში ჩარევის საბაბით, აუკრძალოს დემოკრატიულ წყობილების მომხრეებთან სოლიდარობა.

ვფიქრობ ჩემი მსჯელობიდან ნათელია = თუ დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნების ხელმძღვანელებს თავის მოწყუება არ უნდათ და ამოსახეთქ ვულკანზე დაძინებას არ აპირებენ, მომავალ თათბირზე ბელგრადში თუ სხვაგან უნდა მოითხოვონ მშვიდობიან თანაარსებობის, დეტანტის და ჰელსინკის ხელშეკრულობის შესაბამისად, მშვიდობიან საშუალებებით იდეოლოგიური ბრძოლის წარმოების იგივე უფლებები , რასაც თავისთვის ჩემულობს, და მთელი თავისი არსებობის განმავლობაში, კიდევაც ასხორციელებს საბჭ. კავშირის მთავრობა.

წელს, 21 მარტს, პროფკავშირების ყრილობას ლ. ბრეჟნევმა განუცხადა = "ბელგრადის შეხვედრის მთავარი მიზანი უნდა იყოს ზრუნვა ევროპის მშვიდობისა და უშიშროებისათვის, ევროპის ხალხთა თანამშრომლობის განვითარებისათვის. მარტო გაკეთებული კი არ უნდა შევაჯამოთ, არამედ უნდა შევთანხმდეთ შემდეგი თანამშრომლობის საკითხებზე, ზოგიერთი კონკრეტული წინადადების და რეკომენდაციის შესახებ." მე მგონია, ამ უკანასკნელ წინადადებაზე დასავლეთის დემოკრატიულმა მთავრობებმა ერთხმად უნდა უპასუხონ = ძალიან კარგი ლეონიდ ილიჩ, ჩვენი კონკრეტული წინადადებაა ან ყველა სახელმწიფომ ხელი აიღოს იდეოლოგიურ ბრძოლის წარმოებაზე, ან და შევთანხმდეთ ყველამ ვაწარმოოთ ის, მშვიდობიანობისა და საერთაშორისო დეტანტის ატმოსფეროში. მშვიდობიან კომპეტიციის ვითარებაში, ისევე როგორც სპორტშია მიღებული, დეე, უკეთესმა გაიმარჯვოს.

თუ საბჭოთა მთავრობა დათნხმდა ამ წინადადებას და პრაქტიკულადაც გაატარა აქედან გამომდინარე ღონისძიებები, რომლებიც წინასწარ კარგად უნდა იქნენ ჩამოყალიბებული, მაშინ საჭიროა შეიქმნეს საერთაშორისო არბიტრაჟის მუდმივი დაწესებულება, რათა მშვიდობიანი კომპეტიცია არ გადაიქცეს მოწყუების და ცივი ომის საშუალებად.

გიორგი წერეთელი

პარიზი. 24 მარტი 1977 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი   დ ა   წ ი გ ნ ე ბ ი
---

ქალბატონ ნინო ჯაყელის 100 წლის იუბილე

გვაქვს ბედნიერი შემთხვევა ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს, რომ ქალ-ნი ნინო ჯაყელი(იოსელიანის ასული) მე-100-ე გაზაფხულს შეეგება წელს, 26 მარტს. ქალ- ნი ნინო უკვე დიდი ხანია ცხოვრობს ქალაქ ლონდონში, წლების სიმრავლე არც იმდენად ამძიმებს, კვლავ აქტიურად ცხოვრობს აწმყოში და იმედით შეცქერის მომავალს. ამ ღირსშესანიშნავ დღესასწაულთან დაკავშირებით, ბებია ნინოს ეწვიენ ნათესავები და ახლო-მეგობრები, და მიიღო მრავალი გულითადი მილოცვები, მათ შორის ინგლისის დედოფლის ელისაბედ მე-2-სი.

"თავისუფლების ტრიბუნა" თავის მხრით, ქალბატონო ნინო, მოგილოცავთ ამიშვიათ დღესასწაულს, და გისურვებთ კიდევ მრავალი და მრავალი წლის განმავლობაში ჯანმრთელ, ბედნიერ და აქტიურ სიცოცხლეს. ---   ---   ---   ---   ---

ნ უ გ ზ ა რ   შ ა რ ი ა ს   გ ა ს ტ რ ო ლ ე ბ ი   ი ს რ ა ე ლ შ ი

ჩვენი თანამშრომლები ისრაელიდან და იქაური პრესა ნათლად მეტყველებს, რომ ბ- ონ ნუგზარ შარიას გასტროლებმა ისრაელში, გასული წლის დეკემბერში, მიიღეს ნამდვილად ტრიუმფალური სახითი. ჩვენი ფიქრით ეს წარმატება შედეგია, როგორც თვით ნ. შარიას პირად ი არტისტული ღირსებების, ისე ისრაელში გადმოსახლებულ ქარ. ებრაელების მღვიე ქართული პატრიოტიზმის.

დღეს, როცა საბჭ. ოფიციალური პროპაგანდა უმსგავსო და ყოვლად უმართებულო ცილს სწამებს ნუგზარ შარიას, ჩვენ ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია, ჩვენი სრული სიმპატიები გამოუცხადოთ მას, და ვუსურვოთ მომავალშიაც განეგრძოს ნაყოფიერი მოღვაწეობა, როგორც ხელოვნების, ისე საზოგადოებრივ სარბიელზე. შემთხვევით მოხდა, რომ ამ ნომრისათვის გათვალისწინებული გვქონდა, უკვე იანვარში მიღებული, ნ. შარიას წერილის გამოქვეყნება. დღეს მით უფრო მეტი ენთუზიაზმით ვთავაზობთ მას მკითხველებს.

ბატონო გიორგი!

სულ რამდენიმე დღეა რაც ჩამოვედი ისრაელიდან.ბენ-გურიონის აეროპორტიდან დაწყებული,ჩემი ისრაელში ერთი თვის გასტროლების დროს შესუნთქული ქართული სული,ალბათ მრავალ წელიწადს მეყოფა. ტაშის გრიალით სამი ათას ორას კაციან დარბაზიდან ყველა თორმეტ კონცერტის ჩათვლით, თანხლებული,თავს ვგრძნობდი თითქოს სხვა პლანეტაზე.რადიო-ტელევიზია,პრესა,ივრიტულ,ინგლისურ,რუსულ, ფრანგულ,არაბულ და ქართულ ენებ ზე,თითქმის ყოველ ნახევარ საათში, აცხადებდა ნუგზარ შარიას.16დეკემბერს იერუსალიმის ქალაქის მერმა,ტედი კოლეკმა,გადმომცა ქალაქის საპატიო დროშა,და დამასახელა ისრაელის საპატიო სტუმრად.ამის შემდეგ მიმიწვიეს მთავრობის სასახლეში,კნესეტში,ანუ პარლამენტში.სადაც შევხვდი მთავრობის წევრებს.ყველაზე ამაღელვებელი იყო ჯვრის მონასტერში შეხვდა. ჯვრის მონასტერი ვაივაგლახით,ქალაქის მერის ჩარევით, გაგვიღეს.ისიც იმიტომ,რომ მე ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე ვარ.მერმა თვითონ განმიცხადა:ჩვენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს არ ვცნობთ,ვინაიდან სახელმწიფო რომელიც რელიგიას



ნ. შარიას მოღვაწე კნესეტში

არ ცნობს,ჩვენ არც მის წარმომადგენლებს ვცნობთ.ისრაელში დაბადებულმა ბატონმა რაფაელ ბალუაშვილმა, ალტარის შიგნით,მანიშნა ორ ფილაქანაზე,და მითხრა,რომ აქ უნდა იყვეს რუსთაველის საფლავიო. თურმე ბატონ რაფაელ ბალუაშვილს ჩემი ისრაელში ჩასვლის წინ, ე.ი. ნოემბერში,თვითონ ამოუწევია ეს ორი ფილაქანი.

მიწვეული ვარ ისრაელში მომავალ წელს. ვამზადებ ახალ პროგრამას. ქრისტეს საფლავზე,და მის დაბადების ნათელ სავანესთან,თუ რუსთაველის ფრესკასთან ერთი აზრი ფრთებს მასხამდა.ეს იყო საქართველოს თავისუფლება. მაღლი უფალსა,ვაშა თავისუფალ საქართველოს.

ნუგზარ შარია.

12/I-77



ნ. შარია და ჯვარის მონასტრის ხედი

შალვა ზედგენიძე - ხ ის სვეტების ხელოვანი

ქ. მონბელიარში(დუბის დეპარტამენტი. საფრანგეთი) ცხოვრობს ერთი ჩვენი კარგი თანამემამულე- მესხი შალვა ზედგინიძე. ამ 50 წლის წინად, ჩვენი სამშობლოდან გადმოხვეწილ სხვა თანამემამულეებთან ერთად, ცნობილ პეჟოს ქარხანაში დაუწყია მუშაობა და პირველი ღამე ერთ საბძელში , თივაში მოხდენია ღამის გატარება... მას შემდეგწლებიც ბევრი გავიდა, და ბევრი რამეც შეიცვალა თვით მესხეთიდან მოსული კაცის ცხოვრებაში. ცოლად შეირთო ფრანგის ქალი, შეეძინათ ერთი ქალი და ერთი ვაჟი, ბავშვებს უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრებიეს, ქალიშვილი გათხოვდა და თვით მრავალშვილიანი დედაა, ვაჟი-პოლი ეკონომისტია და მსახურობს პარიზში ერთერთ დიდ ბანკში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ერთი სიტყვით , ბატონ შალვას ბედნიერი მოხუცებულობა აქვს... მაგრამ მის გულს მაინც რაღაც აკლია. ესაა მშობლიურ მესხეთის უნახაობა, და, რომ სურვილები დაიოკოს, თავისივე ხელით მოწყობილ სახელოსნოში, ხელში აიღო საჭრეთელი და შეუდგა ხის სვეტებში ვეფხვისტყაოსნის პოემის გაცოცხლებას. მკითხველმა თვალ უნდა ნახოს, რომ წარმოდგენა ჰქონდეს ამ თვით განწვრთნილ, და ისიც მოხუცებულობის ასაკში, ოსტატის ხელოვნებაზე. შალვა ზედგინიძე ლექსებსაც წერს მის მშობლიურ მესხეთზე, რომელშიაც გვისხნის, რომ სიტყვა მეს-ხე-თი მოდის ხის შესანიშნავ ოსტატებიდან, როგორებიც იყვნენ ღვთაენდელი მესხების წინაპრებიო.

შალვა ზედგინიძე მოულოდნელად სახელგანთქმული გახდა მის მხარეში. ცნობილმა ფრანგმა სინეასტმა არმან გატტიმ ფილმი გადაიღო, რომელშიაც ნაჩვენებია უცხო მუშახელის ცხოვრების პირობები და ზოგიერთ მათგანის ტიპიური მაგალითები. თუმცა შალვა ზედგინიძის ცხოვრება ბატონ არმან გატისათვის არც თუ ისე გამოსადეგია, მაინც მან თავის ფილმში დიდი ადგილი დაუთმო შ. ზედგინიძის ცხოვრებას და განსაკუთრებით მის თვით—შემოქმედებას. ფილმის საჯარო ჩვენების შემდეგ, ადგილობრივ პრესის კორესპონდენტები ეწვიენ ბა-ნ შალვას ინტერვიუსათვის. აქაც მან სიფხიზლე გამოუჩენია, ჟურნალისტებისთვის აუხსნია, რომ საფრანგეთის დღევანდელი პირობები არ შეედრება 1930-ან წლებისას, და ისიც, რომ მე საფრანგეთში ფულის საშოვნელად როდი მოვსულვარ, არამედ პოლიტიკური მიზეზითო. ამის გარდა, ბა-ონ შალვას შემთხვევით კარგათ უსარგებლია და ჟურნალისტებისათვის საქართველოს გეოგრაფიის, ისტორიის და ქართული კულტურის ლექცია წაუკითხავს.

მარჯი შეხხ მარჯვენას ქართველო კაცო- შალვა ზედგისძე.

"სიბრძნის მარგალიტები" და "ექსოდუსი"

კიდევ ერთი თანამშრომელი შემოგვემატა ისრაელიდან- ქალ- ნიროზა აბნერაშვილი, რომლის წერილს ბარუხ სპინოზას შესახებ აქვე ვაქვეყნებთ. ქალბატონმა როზამ კეთილინება და გადმოგვიგზავნა მის მიერ ახლად გამოცემული ორი წიგნი. აქედან, ერთი გახლავთ ვეფხისტყაოსნიდან ამოკრებილი აფორიზმების და რჩეული ადგილების რუსულ და ინგლისურ თარგმანს, რიცხვით ორასს. წიგნი ლამაზად არის გამოცემული, შედარებით მდარე ქაღალდს აკეთილშობილებს მოხდენილ ორნამენტების არშია. საზგასასმელია წიგნის ავტორის მიერ დაწერილი წინასიტყვაობა, რუსულად და ინგლისურად, რომეშიაც ლამაზა

დამართებულად დახასიათებულია, როგორც ვეფხისტყაოსანის, ისე ზოგადად ქართული კულტურის როლი. ტექსტს წინ ერთვის მთის ზიჩისეული პორტრეტი, ჩამულია ლამაზ გარეკანში, რომლის შუაგულში ქართულად აწერია ვეხისტყაოსანი, ზევით რუსულად და ქვევით ინგლისურად "სიბრძნის მარგალიტები".

მეორე წიგნი არის ინგლისურიდან ლეონ იურისის სახელგანთქმული მოთხრობა "ექსოდუსი"-ს ქართული თარგმანი. თარგმანი შესრულებულია კარგი ქართულით. გამოცემაც შესაფერისია. ისრაელის ცასავით ლურჯ გარეკანზე ამოტვიფრულია დავითის ვარსკვლავი, რომლის ზე და ქვეშ მოჩანს თოფი და მისკენ გაშვერილი ხელები. ალეგორია, რომელიც ებრაელთა გარდა სხვა ხალხებსაც გამოადგება, როცა მონობის უღლის ან თავის დახსნას გადაწყვიტავენ. ექსოდუსს მსოფლიოს ფართო საზოგადოება იცნობს. სამწუხაროდ ჩვენ არ გვაქვს აქ საშუალება მის ავკარგზე ვისაუბროთ. მთარგმნელის განწყობილების დასახასიათებლად მოვიტან ნაწყვეტს მის წინასიტყვაობიდან = "...ამიტომ იყო, რომ წაკითხვისთანავე აღმეძრა სურვილი მეთარგმნა იგი ქართულ ენაზე, გადამექცია კიდ ევ ერთ უცხოენაზე მოლაპარაკე ძველი კულტურისა და ტრადიციების მქონე ერის კუთვნილებად, რომელთა შორის უკვე2700 წელია ცხოვრობს ქართველი ებრაელობა ისე, რომ არ განუცდია ინკვიზიციის ბრჭყალები, სისხლიანი პოგრომები ანდა მასიური ხოცვა- ჟლეტა, როგორსაც სხვა ქვეყნებში ჰქონდა ადგილი"
ქართული ენის და კულტურის სამსახური ისრაელში დიდად დასაფასებელი საქმეა, ქალ- ონ როზა აზნერაშვილს ყველა მონაცემი აქვს ამ კეთილშობილი მისიისათვის იმედია ქართველები გულთბილად გამოეხმაურებიან, ხელს შეუწყობენ, ხოლო ჩვენ მას ვუსურვებთ შემდეგ წარმატებებს. პარიზში ამ წიგნების შეძენა შეიძლება =

1. ლიბრერი დუ გლობ. 2 რიუ დე ბუსი. 75006 პარი.
2. ლე ლივრ ეტრანჟე. 10, რიუ არმან მუაზან. 75015 პარი.

## განკიცხული, მაგრამ გავლენიანი სპინოზა
## 1677 - 1977

არცთუ ბევრისთვისაა ცნობილი ეს სახელი: ბარუხ-ბენედიქტე დე-ესპინოზა, მაგრამ ძნელად თუ მოინახება ადამიანი, რომ არ სმენოდეს: ბარუხ სპინოზა.

მიმდინარე წლის 2I თებერვალს შესრულდა 300 წელი ამ გენიოსი მოაზროვნის გარდაცვალებიდან.

ბარუხ სპინოზა ჰოლანდიის დედაქალაქ ამსტერდამში დაიბადა 1633 წელს. სულ ექვსი წლისა იყო, რომ დედამისი ჭლექით გარდაიცვალა და ამავე ულმობელმა სენმა იმსხვერპლა ისიც აყვავებისა და გაფურჩქვნის ხანაში-44 წლის ასაკში.

მამამისი მდიდარი დიდვაჭარი გახლდათ და ებრაულ საზოგადოებაში წარჩინებულთა წრის წარმომადგენლად ითვლებოდა. ამის წყალობით მან ჩინებული აღზრდა-განათლება მიიღო, დაფუძნებული ებრაულ ტრადიციებზე და შესანიშნავად იცნობდა შუა საუკუნეების დიდ ებრაელ ფილოსოფოს-მოაზროვნეთა ნაკალმევს. ეს კია, მის აღმზრდელებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ იგი ფარულად ეწაფებოდა საერო ლიტერატურას, ეუფლებოდა მათემატიკა-ასტრონომიას. მათ არც ის უწყოდნენ, რომ ჭაბუკი სპინოზა თითონვე იყო დაჯილდოებული ფილოსოფიური აზროვნების ნიჭით და საკუთარი, იმ დროისათვის მეტად გაბედული შეხედულებები გააჩნდა რელიგიასა და სარწმუნოებაზე.

როდესაც ეს ფაქტი ცნობილი გახდა ებრაული საზოგადოების წინამძღოლთათვის, მათ ყოველი ღონე იხმარეს ხელი აეღებინებინათ სპინოზასათვის სახიფათო შეხედულებებზე, მაგრამ ამაო გამოდგა ჭაბუკი ფილოსოფოსის არტახებით შებოჭვის ყოველი ცდა: მან არც ფულისა და არც სხვა დაპირებათა გულისათვის არ ისურვა თავი დაენებებინა, ან საჯაროდ მაინც არ ეღიარებინა თავისი იდეები. ამიტომ იყო, რომ 24 წლის ასაკში სპინოზა განდევნილ იქნა ებრაული თემიდან ამსტერდამის ერთმორწმუნეთა და საერო წარმომადგენლობის მიერ მთავარი რაბინის უშუალო ხელმძღვანელობით. აი, რა იყო მიზეზი: ამ პერიოდში ჰოლანდიის ებრაელობის უმრავლესობას ჯერ კიდევ ლტოლვილთა ის თაობა შეადგენდა, რომელიც ესპანეთ-პორტუგალიის ინკვიზიციას გაექცა და თავშესაფარი ჰოლანდიის მიწა-წყალზე ჰპოვა, იმ სახის მიწა-წყალზე, რომელმაც საკუთარ ზურგზე იწვნია ესპანეთის ბატონობის, კათოლიკური ეკლესიისა და ინკვიზიციის განცდილი სიმწარე. რელიგიური თუ საერო შემწყნარებლობა-სტუმართმოყვარეობის ადათ-წესები რომლითაც ებრაელები სარგებლობდნენ, ბევრად უსწრებდა წინ ევროპის დანარჩენი ქვეყნებისას. ეს პერიოდი ჰოლანდიისათვის მზარდი აღმავლობის ხანას წარმოადგენდა, რადგან უაღრესად სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა საზღვაო ვაჭრობა.

ახლად შემომატებულ ლტოლვილთა უმრავლესობას ესპანეთ-პორტუგალიიდან გამოსული მ ა რ ა ნ ე ბ ი შეადგენდნენ. მარანებს იმ ებრაელებს უწოდებდნენ, რომელთაც კათოლიკური ეკლესიის ძალდატანებითა და ინკვიზიციის შიშით თუმცაკი მიიღეს ქრისტიანობა, მაგრამ ფარულად ისევ მოშეს რჯულისა და ებრაული ტრადიციების ერთგულნი დარჩნენ. ამიტომ სავსებით გასაგებია იმ ადამიანთა აღმაფრენა, რომელთაც თავიანთ სიცოცხლეში პირველად შეიგრძნეს რელიგიური თავისუფლების გემო. ამას ის გარემოებაც აძლიერებდა, რომ ჰოლანდიაში ებრაელი ვაჭრები სრული თანასწორუფლებიანობითა და კანონ-სამართლიანობით სარგებლობდნენ. ამის გამო, რა თქმა უნდა, მათ უმაღლესი დონის სოციალურ მდგომარეობას მიაღწიეს და ებრაელთა თემის საბჭოს არავითარი სურვილი არ გააჩნდა თუნდაც ოდნავ შერყეოდა ან შელახვოდა ძნელადმონაპოვარი კეთილდღეობა, ახალგაზრდა სპინოზას ძირგამომთხრელი იდეების წყალობით სამყაროსა და მის შემოქმედზე; ამისათვის ადვილი შესაძლებელი იყო, სხვაგვარი ახსნა-განმარტება მიეცათ და არსებული წეს-წყობილების უგულვებელყოფად მოენათლათ მისი რადიკალური მოსაზრება-შეხედულებანი. სწორედ ებრაული თემისადმი მოვალეობის გრძნობამ, და არა ვიწრო ორთოდოქსულმა ფანატიზმმა, გახადა ისინი იძულებული ჩამოეცილებინათ ადამიანი, რომელმაც უკვე მოასწრო ფართო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა.

ებრაელთა მესვეურებმა ანათემას მისცეს /დასწყევლეს/ ახალგაზრდა მეცნიერი და ამ რელიგიური რიტუალის ამონაწერი ადგილობრივ ხელისუფალთ გადაუგზავნეს. ამით მათ თავიდან აიცილეს ერეტიკოსის გაიგივების შიში მთელ ებრაულ თემთან. ასეთმა დრამატულმა ღონისძიებამ არათუ ჩაახშო სპინოზაში მეამბოხე სული, არამედ უფრო მეტად აღაგზნო მასში ზეშთაგონებული მუზაც და გესლიანი პოლემიკის ყინიც.

სპინოზა, თუმცა შეძლებული კაცის შვილი, უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდა. ამის მიზეზი ისევ მისი თავისებური უკუღმართი ხასიათი გახლდათ: მამის გარდაცვალების შემდეგ ის უნდა გამხდარიყო ქონებისა და ადგილ-მამულის ერთად-ერთი მემკვიდრე. სასამართლოში თუმცაღა მოიგო გერი დის მიერ ამის თაობაზე აღძრული საქმე, მაგრამ მერე ისევ განაცხადა უარი მემკვიდრეობის უმეტეს ნაწილზე მომჩივარის სასარგებლოდ და თავს ებრაული ენისა და მათემატიკის გაკვეთილებით ირჩენდა.

მიუხედავად იმისა, რომ თემიდან განდევნამ მძიმე დარტყმა მიაყენა, სპინოზას მაინც არასოდეს უთქვამს უარი თავის წარმოშობასა და რელიგიაზე, თუ აქ მხედველობაში არ მივიღებთ მის ერთად ერთ შეცოდებას: მან ლათინურ ენაზე თარგმნა თავისი სახელი "ბარუხ"/ებრ. "კურთხეული"/ და"ბენედიქტე"/ლათ."მწყალობელი"/ დაირქვა. ამის უმთავრესი მიზეზი გახლდათ ის გარემოება, რომ იმ პერიოდის ევროპის განათლებულ საზოგადოებაში სწორედ ლათინურ ენას ეკავა გაბატონებული მდგომარეობა.

სპინოზა ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი ერისა. ამის დამამტკიცებელ საბუთად ისიც კმარა, რომ I655 წლის დეკემბერში, თემიდან განდევნის რვა თვის თავზე, როდესაც მისმა ურთიერთ-დამოკიდებულებამ ებრაული თემის წინამძღოლებთან უკიდურესი დაძაბულობის წერტილს მიაღწია, სპინოზა ღვთისმსახურებას დაესწრო ამსტერდამის სინაგოგაში და მთელი მრევლი განაცვიფრა უხვი შეწირულებით, თუმცა ცნობილი იყო, რომ მას ჯიბე ამის საშუალებას არ აძლევდა.

ალბათ, მკითხველისათვის ინტერესს არ იქნება მოკლებული საკითხი: რამ გამოიწვია ასეთი რადიკალური ღონისძიების მიღება სპინოზასადმი?

როგორც აღვნიშნეთ, სპინოზა აღიზარდა ტრადიციულ ებრაულ პრინციპებზე. ამ პრინციპების საფუძველთა საფუძველს შემდეგი დებულება წარმოადგენს: ქვეყნად მოსალოდნელია მესიის მობრძანება, რომელიც დაიხსნის თავის ხალხს, სამშობლოში დააბრუნებს, ნიშნად გამჩენისგან მოღებული მოწყალება-სიყვარულისა. სპინოზამ გადაჭრით უარყო პასიურობის ამგვარი თვალსაზრისი. მისი აზრით, ღმერთი მხოლოდ მაშინ გახდის თავის სამწყსოს სიყვარულის ღირსს, როდესაც ებრაელობა კვლავ ისწავლის ლაპარაკს მშობლიურ ენაზე და სამშობლოში დაბრუნდებაო, /ე.ი. თ ი თ ო ნ/. ეს მოსაზრება შენიშვნის სახით აღმოჩნდა მიწერილი ებრაული გრამატიკის ხელნაწერ სახელმძღვანელოში, რომელიც, ეტყობა, სპინოზას თავისი კერძო მოსწავლეებისათვის დაუწერია.

წმიდათა წმიდა ცნების ასეთმა არამოკრძალებულმა გარდაქმნამ აუმხედრა მას ორთოდოქსული დაწესებულებები, ისევე როგორც თავის დროს, არცთუ შორ წარსულში, თეოდორ ჰერცლის საერო ლოზუნგმა: "-თუ ისურვებ, ეს არ არის ლეგენდა!"-განაწყო მორწმუნენი მის საწინააღმდეგოდ, რადგან ჰერცლის ნავარაუდევი-"შ ე ნ"-ერისკაც პოლიტიკურ მოღვაწეს გულისხმობდა და არა რაიმე ზებუნებრივ ძალას ანუ ღ ვ თ ა ე ბ ა ს, /როგორც ცნობილია, ამის საპირისპიროდ რელიგია მხოლოდ ერთს აღიარებს: "თუ ღ მ ე რ თ ი ისურვებს!"/.

ამგვარად, პასიურობის უგულვებელყოფა და მისი გარდაქმნა თვითდახმარების მოწოდებად, როგორც სპინოზას, ასევე ჰერცლის ეპოქაში, ერესის ანუ ღვთისგმობის ტოლფას შეხედულებას წარმოადგენდა ულტრა-ორთოდოქსი ფანატიკოსებისათვის.

სპინოზას იდეებმა თავზარდამცემი ტალღები ააზვირთა ევროპის განათლებულ და ცნობისმოყვარე საზოგადოებაში. ეს იდეები ელვის სისწრაფით ედებოდა მთელ კონტინენტს. ამას დიდად უწყობდა ხელს გუტენბერგის მიერ დაარსებული ბეჭდვითი სიტყვა ლათინურ ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ სპინოზას შრომებით დაინტერესებულ იეშივის /ებრაული სასულიერო სემინარია/ სტუდენტებს სასწავლებლიდან გარიცხვას ემუქრებოდათ, თუკი მათი კითხვისას წაასწრებდნენ, ისინი მაინც არას დაგიდევდნენ: ვერავითარი სასტიკი ღონისძიება ვერ სდებდა აღვირს საზოგადოების მოწინავე ძალებს.

მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა სპინოზასთან ევროპის მეცნიერებსა და ფილოსოფოსთ. მისი ხშირი სტუმრები იყვნენ: თანამედროვე ქიმიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფუძემდებელი რობერტ ბოილი, გერმანელი ლეიბნიცი. საფრანგეთის იმპერატორმა ლუდოვიკო მეთოთხმეტემ პენსიაც კი შესთავაზა, თუ იგი მომდევნო წიგნს მას მიუძღვნიდა, მაგრამ სპინოზა უარს ამბობდა ყოველგვარ ამქვეყნიურ ამაოებაზე: პატივსა და დიდებაზე, კეთილმოწყობილ ბინებსა და მდიდრულ შეწირულება-საბოძვრებზე.

ღირსშესანიშნავია ის ფაქტიც, რომ ასიოდე წლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა სპინოზას გავლენა გერმანიაში. მისი გენიის წინაშე ქედს იხრიდნენ ისეთი გიგანტი-მოაზროვნენი, როგორიც იყვნენ: ლესინგი და გოეთე, ჰეინრიხ ჰაინე, ნიცშე, აინშტაინი და აღტაცებას ვერ ფარავდნენ მისი ტიტანური აზროვნებისადმი.

სპინოზა ჰააგაში გარდაიცვალა I677 წლის 2I თებერვალს. მის ნეშტს არ დართეს ებრაელთა სასაფლაოზე დაკრძალვის ნება, თუმცა უკვე აღვნიშნეთ, რომ იგი არასოდეს განდგომია მამა-პაპათა რწმენას. მიუხედავად ამ მეტად მძიმე ფაქტისა, რომ მისი ძვლები სამუდამოდ მიიბარა ქრისტიანთა განსასვენებელმა სავანემ, სპინოზას სახელი მაინც ებრაელი ერის ფილოსოფიური აზროვნების ისტორიასთან იქნება დაკავშირებული და მარად იელვებს ერთ-ერთ ბრწყინვალე კელაპტრად კაცობრიობის დიდ მოაზროვნეთა ჩაუქრობელ კანდელში.

როზა აზნერაშვილი

2I მარტი I977წ.
ბათ-იამი

## ებრაულ - ქართული ლექსიკონი

გასულ წელში თელ- ავივში გამოიცა პირველი ვრცელი ებრაულ-ქართული ლექსიკონი. მისი ავტორები არიან = დოქ-რი იომ-ტოვ ლევინსკი(ებრაული ტექსტი), გერშონ მეგრელიშვილი(ქართ. ტექსტი), დოქ-რი იცხაკ დავიდი( მეცნიერ-კონსულტანტი და წინასიტყვაობის ავტორი). ლექსიკონში შესულია 14.000 სიტყვა. მას წამძღვარებული აქვს ებრაული სიტყვების ქართული ტრანსკრიპცია. ეს ლექსიკონი დიდ სამსახურს გაუწევს ისრაელის 40.000-ან ქართველ ებრაელობას, მაგრამ ამავე დროს ის ძვირფასი შენაძენია ებრაულ ენის შესწავლით დაინტერესებულ ყველა ქართველისათვის. უღრმეს მადლობას მოვახსენებთ ბატონ იცხაკ დავიდს ამ შესანიშნავი ძღვენისათვის. ასევე ქალბატონ ფანი ბააზოვს და დათო აჯიაშვილს.



ვასო ლაბაძის ტრაგიკული გარდაცვალება

ამ. წ. 11 თებერვალს, საღამოს, ვასო ლაბაძე, ავტოკარით, სახლში ბრუნდებოდა ქ. სენ ჟენევიევ დუ ბუაში. ხელში სახლის გასაღებ-მომარჯვებული, ვასო, ავტოკარიდან ჩამოვიდა, ქუჩა უნდა გადაეჭრა და ამ დროს დიდი სიჩქარით გამქროლავმა ავტომანქანამ გაიტანა. დარტყმა ისეთი ძლიერი იყო რომ ვასო მაშინვე გარდაიცვალა, ისე, რომ არ უტანჯვია. განსვენებულის სურვილის თანახმად, მხოლოდ ნათესავების თანდასწრებით, ვასო ლაბაძის ნეშტი მიბარდა ლევილის მიწას, 15 თებერვალს.

ვასო ლაბაძე დაიბადა 1903 წელს სოფ. ნიგოზეთში. საშუალო განათლება მიიღო ქ. ჭიათურაში და იქვე ის სრულიად ახალგაზრდა ჩაება აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაში. სოც. დემოკრატიული პარტიის წევრი/ის ასრულებდა მნიშვნელოვან დავალებებს აჯანყების მომზადების საქმეში, რის გულისთვისაც ჩეკამ ის დააპატიმრა და გამოტეხის მიზნით უმოწყალოდ აწამა. ვასო ლაბაძე ახალი გამოსული იყო ციხიდან, როცა ჭიათურაში აგვისტოს აჯანყებამ იფეთქა, რომელშიაც ის აქტიურ მონაწილეობას მიიღებს. აჯანყების დამარცხების შემდეგ ვასო ლაბაძე ერთხანს იმალება საქართველოში, შემდეგ კი უცხოეთში გადმოიხვეწება თავის უახლოეს თანამებრძოლებთან ერთად.

... უცხოობაში გავიდა ნახევარ საუკუნეზე მეტი, ვასო ლაბაძემ შექმნა იშვიათი ქართული ოჯახი, სიტყვით თუ კალმით იღვწოდა მის თანამემამულეთა/და ფრანგ მეგობართა შორის და სიკვდილამდე ერთგული დარჩა სამშობლოსი და სოციალისტური იდეების.

ვასო ლაბაძის ძვირფას ოჯახს- ქალ-ნ თამარს, ნატალის და ელზას გულწრფელ სამძიმარს და/თანაგრძნობას უცხადებს „თავ. ტრიბუნის" რედაქ რედაქცია.

## ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო   გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი

სოფ. აბონდანის მოხუცთა სახლში, 9 სექ. 1976 წელს, 92 წლის ასაკში გარდაიცვალა ქალბატონი ელენე დეკანოზიშვილი

--- --- ---

გასული წლის დეკემბერში, აბონდანის მოხუცთა სახლში, 85 წლის ასაკში გარდაიცვალა ბატონი ი ო ს ე ბ   ს ა ს ა ნ ა შ ვ ი ლ ი.

--- --- ---

ა.წ. იანვარში, პარიზში გარდაიცვალა ქართველების ერთგული მეგობარი, რუსეთის ციგანი, ცნობილი მხატვარი, კონსტანტინე ნეპოკოიჩიცკი. დასაფლავებულია ლევილის სასაფლაოზე.

წელს 9 თებერვალს, ქ. ონკანაში(ფლორიდა, ამ. შ. შ.) გარდაიცვალა მიხეილ სიმონის-ძე რეხ ვიაშვილი.

--- --- ---

წელს, 11 თებერვალს, ვაშინგტონში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 65 წლის ასაკში გარდაიცვალა ქალბატონი ვზლანტიზ გუგუშვილისა-მისაელენკოს ასული. დაასაფლავეს 14 თებერვალს ვაშინგტონშივე.

--- --- ---

წელს, 11 თებერვალს, სენ ჟენევიევ დე ბუაში(პარიზის მახლობლად), ავტომანქანის მიზეზით ტრაგიკულად დაიღუპა ვასო ლაბაძე. დასაფლავებულია ლევილის სასაფლაოზე.

--- --- ---

წელს, 20 თებერვალს, პარიზში გარდაიცვალა მიხეილ ფიდიური-კებელი. დასაფლავებულია ლევილის სასაფლაოზე.

--- --- ---

თავ. ტრიბუნა ღრმა მწუხარების გამომხატველ სამძიმარს უცხადებს მგლოვიარე ოჯახის წევრებს.

## შ ე მ ო ს ა ვ ა ლ - გ ა ს ა ვ ლ ი ს   ა ნ გ ა რ ი შ ი

შემოსავალი 1976 წლის 1 დეკემბრიდან 1977 წლის 15 აპრილამდე

| | |
|---|---|
| ირაკლი ჯაფარიძე | 100 ფრანკი |
| ტიტე ჩხეიძე | 84,24 " |
| შალვა ცინცაძე | 99,75 " |
| ზეინაბ ზურაბიშვილისა, ლევანის სახელზე | 300, 00 " |
| მართა სტურუასი | 30,00" |
| პ. გ. | 50,00 " |
| სერგო ინასარი | 100,00 " |
| გედევან ასათიანი | 50,00 " |
| არჩილ მჭედლიშვილი | 50,00 " |
| იონა გუნია | 10,00 " |
| მელიტონ ყლენტი | 100,00 " |
| გულნარა და დავით ურატაძეები | 200,00 " |
| გივი ზალდასტანიშვილი | 485,00 " |
| მზია ჭეიშვილისა | 100,00 " |
| ალექსანდრე ბარკალაია | 100,00 " |
| ნიკოლოზ(თათარხან) ანთაძე | 100,00 " |

| | |
|---|---|
| გიორგი ყაველაშვილი --------------- | 100,00 " |
| რეი ზურაბიშვილისა --------------- | 150,00 " |
| ლ. ს. --------------- | 490,00 " |
| შალვა ცინცაძე --------------- | 124,07 " |
| ვიტალი უგრეხელიძე --------------- | 16,60 " |
| დიმიტრი მახარაშვილი --------------- | 234,87 " |
| შალვა შავლაყაძე --------------- | 50,00 " |
| გიორგი ჯავახიშვილი --------------- | 83,00 " |
| ლევან კაკულია --------------- | 97,80 " |
| ისიდორე გაყონია --------------- | 92,60 " |
| ოლღა კებარდინისა --------------- | 46,30 " |
| იგრეკიძე-სხირტლაძე --------------- | 23,15 " |
| § ა. გ. --------------- | 100,00 " |
| გიორგი ჯავახიშვილი --------------- | 82,00 " |
| დავით მეტრეველი --------------- | 41,00 ფრანკი |
| შემოსავლის ჯამი --------------- | 3.690,38 " |
| წინა ნომერში გამოცხადებული ნაშთი | 3.093,52 " |
| საერთო ჯამი --------------- | 6783,90 ფრანკი |

დ ა ნ ა ს ა რ ჯ ი

| | |
|---|---|
| სტამბის ფაქტურა --------------- | 1081,92 ფრანკი |
| ლევილის საზეჯ. სახელოსნოს ხარჯ. | 1600,00 " |
| ფოსტის ხარჯები "თ. ც." ნომ.14-15 | 600,70 " |
| დეკლარაცია ვლადიმერ ყვანიას შესახ. | 77,50 " |
| განცხადებები ზ. გასახურდიას დაპატიმრების შესახებ ---- | 36,85 " |
| თ. ტრიბუნის ბეჭდებისათვის -------- | 116,00 " |
| გასავლის ჯამი --------------- | 3.512,97 " |
| სალარო ნაშთი --------------- | 3.270,93 ფრანკი |

ც ნ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს

ვლადიმერ ყვანიას სიკვდილით დასჯის გამო, უცხოეთში არსებულ რიგ პარტიების და გამოცემების, დეკლარაცია დაიგზავნა = საფრანგეთში. პრეზიდენტ ვ. ჟ. დ,ესტენს, იურისტთა საერთაშორისო საზ. კომიტეტს, რეპრესიის საწინააღმდეგო საერთაშორისო კომიტეტს, ამნისტი ინტერნაციონალს, წამების გაუქმების ქრისტიანულ საზოგადოებას, ჩვენს მეგობრებს. ჟურნალ "ლესტ ოროპეენს", "კაზაკს", "პრეზანს სოსიალისტ", სიმონ პეტლიურას სახელობის ბიბლიოთეკას, და საფრანგეთის ყოველდღიურ პრესის ყველა რედაქციებს. ინგლისში. ლონდონის გაზეთ "ტაიმსს" და ჩვენს მეგობარს პიტერ რედეუეს, რომელსაც ვთხოვეთ საჭირო ადგილებზე დარიგება. გერმანიის ფედ. რესპუბლიკაში ,"რადიო "თავისუფლების" ქართულ რედაქციას, რომესაც ვთხოვეთ გავრცელებია სადაც საჭიროდ დაინახავდა. შვეიცარიაში "ტრიბიუნ დე ჟენევი" რედაქციას, ო.ნ.უ-ს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას და მის ამერიკის შ. შ-ს წარმომადგენელ ბატონ ალარ ლოვენშტაინს. იტალიაში სალომე ზურაბიშვილს, რომელსაც დაევალა იტალიაში გავრცელება. დაბოლოს ამერიკის შ. შტატებში პრეზიდენტ ჯ. კარტერს, ო.ნ.უ-ის გენერალურ მდივანს კ. ვალდჰაიმს, "ნიუ იორკ ტაიმსის" და "ესტ ოროპის" რედაქციებს, "ამერიკის ხმის" ქართულ რედაქციას, გივი კობახიძეს და ისიდორე [illegible] ვთხოვეთ დაეგზავნათ საჭირო ადგილებში.

როგორც კი ცნობილი გახდა ზ. გამსახურდიას, მ. კოსტავას და ვ. რცხილაძის დაპატიმრება, წერილებით მივმართეთ ამნისტი ინტერნაციონალის საფრანგეთის სექციის საბჭ. კავშირის პასუხისმგებელს, ქალბატონ პიკარს, იურისტთა საერთაშ. საზოგადოების წარმომადგენელ მეტრ ჟ. მ. ვაროს, რეპრესიის საწინააღმდეგო საერთ. კომიტეტის წარმომადგენელ მეტრ ჟ.ჟ. მარის, ო.ნ.უ-ს ადამიანის უფლებათა კომისის ამ.შ.შტ-ის წარმომადგენელ მეტრ ალ. ლოვენშტაინს, ლონდონის პოლიტ-ეკონომიური ინსტიტუტის უფროს ლექტორს ბ-ნ პ. რედეუეს, ინგლისში საჭირო ნაბიჯების გადასადგმელად. პარალელურად ოთარ ზურაბიშვილმა დროსდაუკარგავად სათანადო განცხადებები გააკეთა, როგორც ვლადიმერ ყვანიას ისე საქ. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრების დაპატიმრების თაობაზე. პრაქტიკულად საქმიანობს ქართ. პოლიტპატიმართა დაცვის ფრანგულ კომიტეტის შესაქმნელად, დაბოლოს თავის მეგობრებთან ერთად ამზადებს ფრანგულენოვან ჟურნალ "მერანს", რომელიც მიეძღვნება დღევანდელ ქართულ საჭირბოროტო საკითხებს და რომელიც დღის სინათლეს იხილავს უახლოეს დღეებში.

ამ საქმიანობის შედეგებზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. უკვე ადგილი ჰქონდა "ფრანს პრესის" საგენტოს და მთელრიგ მრავალტირაჟიან გაზეთების გამოსმაურებას. "ლ,ესტ ოროპეენის" მაის- ივნისის ნომერში მთლიანად დაიბეჭდება დეკლარაცია და ოთარ ზურაბიშვილის წერილი ამავე საკითხზე. ასევე ერებს ანტიბოლშევიკურ ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტის ორგანო "ა.ბ.ნ. კორესპონდანსის" მაის- ივნისის ნომერში. საერთაშორისო იურისტთ კომიტეტი, ამნესტი ინტერნაციონალი რეპრესიის საწინააღმდეგო კომიტეტი უკვე ცნობილია საქმეს, მზად არიან ნაბიჯების გადასადგმელად, და მიწერ- მოწერით კავშირში იმყოფებიან ჩვენთან.

ყველას ვთხოვთ თუ რამე საინტერესო მასალა გქონეთ ამ საკითხებთან დაკავშირებით ან ჩვენ რედაქციაში გამოგვიგზავნეთ ან ოთარ ზურაბიშვილს.



ზვიად და მანანა გამსახურდიები

ი213/1



ნ. მარია, ბ-ნ რ. ბაღუაშვილის მიერ ნავარაუდებ, შოთა რუსთაველის საფლავთან, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალტარში.

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას დაპატიმრებასთან დაკავშირებით, არსდება ქართ. პოლიტ. პატიმართა დამხმარე კომიტეტი საფრანგეთში, რომლის საქმიანობაც იქნება წმინდა ჰუმანიტარული ხასიათის. კომიტეტი იზრუნებს საერთოდ ყველა ქართველ პოლიტპატიმარზე და მათ ოჯახებზე. კომიტეტის შემადგენლობა და წესდება გამოქვეყნდება მომავალში, მანამდე კი , ცნობისათვის ან დახმარების გადასაგზავნად, მიმართეთ კომიტეტის დროებით წარმომადგენელს ოთარ ზურაბიშვილს : 6,rue Lyautey - Paris I6ème.

ეჭვი არ გვეპარება, რომ ყველა ქართველი მხურვალე მხარდაჭერას გაუწევს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს.

<u>უკანასკნელი ცნობა.</u> გაერ. ერების ოფისი ჟენევიდან გვატყობინებს:

" დავალებული მაქვს გაცნობოთ თქვენი განცხადების მიღება, რომელიც გულდასმით იქნა განხილული. მიღებული წესების მიხედვით თქვენი განცხადების შინაარსი იქნება შეტანილი იმ სიაში, რომელიც კონფიდენციალურად წარედგინება უმცირესობათა დისკრიმინაციულ ზომების წინააღმდეგ ბრძოლის და უმცირესობათა პროტექციის ქვე-კომისიას და გაერთ. ერების ადამიანის უფლებათა კომისიას. თქვენი განცხადების ასლი აგრეთვე გაეგზავნება გაერ. ერების ორგანიზ. წევრ სახელმწიფოების მთავრობებს." ხელს აწერს ადამიანის უფლებათა დივიზიის ადმინისტრატორი იაკობ თ. მოლერი.

### შ ი ნ ა ა რ ს ი


. 2
ვლადიმერ ყვანიას ათვის სიკვდილის მისჯის გამო, უცხოეთში არსებულ პოლ. ორგანიზაციების და პერ. გამომცემლობების განცხადება.

. 3
სამი უსამართლობა. ვ. ყვანიას, თბილისის ოპერის დაწვისათვის, და ალ. ანდღულაძე-ს. შეპილოვის ბანდის გასამართლებათა შესახებ.

. 5
საქართველოს უკანასკნელი ამბები. ზ. გამსახურდიას ჯგუფის საწინააღმდეგო კამპანიის ორკესტრაცია და ზ. გამსახ.-მ. კოსტავას დაპატიმრება.

. 6
ზ. გამსახურდიას წერილი ქარ. ეკლესიის მდგომარეობაზე დასავლეთის პრესაში გამართულ კამათის გამო და "თ. ტ." განმარტებები.

. 8
მესხი-თურქები თუ მესხი-ქართველები. თვითგამოცემის დოკუმენტი. ავტორი მერაბ კოსტავა.

. 10
როგორი "დეტანტი" ? (ჰელსინკის ხელშ. გამოყენების საკითხი) ავტორი გიორგი წერეთელი.

.11
ადამიანები და წიგნები

. 11
ქალბატონ ნინო ჯაყელის 100 წლის იუბილე
ნუგზარ შარიას გასტროლები ისრაელში
. 12
შალვა ზედგინიძე - ხის სვეტების ხელოვანი
"სიბრძნის მარგალიტები" და "ექსოდუსი"
. 13
განკიცხული, მაგრამ გავლენიანი ბარუხ სპინოზა. ავტ. რ. აბნერაშვილი.
ებრაულ - ქართული ლექსიკონი
. 14
ვახო ლაბაძე - ნეკროლოგი
სამგლოვიარო განცხადებები
შემოსავალ - გასავლის ანგარიში
. 15
ცნობისათვის. ( ვ. ყვანიას საქმეზე და ზ. გამსახურდიას, მ. კოსტავას და ვ. რცხილაძის დაპატიმრების გამო გადადგმულ ნაბიჯების შესახებ)



რედაქციის მისამართი : G .TSERETELI 8,rue des Marchais 75OI9Paris -

Directeur : G. TSERETELI
8,rue des Marchais - 75OI9 Paris

Imprimé : I . C . A .
95,Grande-Rue - 9I290 Arpajon